# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 16 ივლისი, 2009 წელი.

№ 143 (6244)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## როგორ გაგრძელდება ტრაგიკომედია „იაფი დაზღვევა?“

3



რატომ არის პარლამენტისა და მთავრობის წევრთათვის „ვარდების რევოლუცია“ დედა, ჩვენთვის კი დედინაცვალი?

## ნოჩბერები



ვინ არის ნანა ჩიჩუა და ვისი რჩევა-რეკომენდაცია-მფარველობით შემოიტანა მან უამრავი გაზის მრიცხველი?

9

## აქ ცხოვრობენ!



3

რა მსგავსებაა XVIII საუკუნის საქართველოსა და დღევანდელ საქართველოს შორის

## მხოლოდ ზვიად გამსახურდიას-დროინდელი უზენაესი საბჭო!

2

## „ოპოზიციას „ხალასტოი ვისტრელი“ გამოუვიდა“

2

### ფრაზა დღის ამონაწერიდან

„კავკასიის“ სტუდიაში არიან აკაკი მინაშვილი და ვახტანგ ბალავაძე, ამ დროს ეკრანზე ჩანს ესემესები:

— თქვე, მიხუინებო, როგორ შეგვაჯავრეთ ამერიკა!

— მიშირასტებო, ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა, თქვენ რომ მოხვედით ხელისუფლებაში.

— აკაკი ბატონო, მომიკითხეთ თქვენი სიდედრი!

(14 ივლისი, „ბარიერი“).

## წმიდა გიორგიმ ქალაქს გადაუფრინა...



ნიკო ჩოჩელის სამხატვრო სკოლა ამერიკაში...

7

## პოზიცია

საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია — Georgian National Ideology Party

# მხოლოდ ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭო!..

## საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის დეკლარაცია

**საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიამ მიიღო დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია:**

1. ჩვენი პარტიის ვარაუდი ნიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის რეანიმაციისა და მსოფლიო ფუნდამენტალიზმის მიერ საქართველოს სამ ნაწილად დანაწილების შესახებ, სამწუხაროდ, გამართლდა: მედვედევი ესტუმრა სამხრეთ ოსეთს (იგივე სამაჩაბლოსძ, ბაიდენი ჩამოდის თბილისში, ხოლო თურქეთის პრეზიდენტი ბათუმში იმყოფებოდა.

2. საქართველოში გაბატონებულმა სოროსულმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად სამივე მიმართულებით გაუხსნა გზა მსოფლიო ფუნდამენტალიზმს საქართველოში. იგი მხარს უჭერს როგორც ველიკოდერჟავულ, ასევე სოროსულ და ისლამურ ფუნდამენტალიზმს, მათს დაფუძნებას საქართველოში.

არავითარი განსხვავება არ არის ფუნდამენტალისტ ოკუპანტებსა და ადგილობრივ სოროსელ მმართველებს შორის. კოკოითი ისევე უკეტავს წყალს ქართველ გლეხებს, როგორც სააკაშვილი. აუცილებელია საქართველოს განთავისუფლება ყველანაირი ოკუპანტებისგან.

3. დღეს სოციალური და პოლიტიკური კრიზისიდან საქართველოს გამოყვანა შეუძლია მხოლოდ ერთადერთ რეალურ ლიდერს ალექსანდრე ებრალიძეს, რომელიც ფაქტობრივად იხსნის საქართველოს ყველანაირი ფუნდამენტალიზმისგან. მას აქვს დიდი სურვილი, რომ ჩამოვიდეს საქართველოში და ემსახუროს თავის სამშობლოს. ამაში მას ხელს უშლიან ანტიეროვნული ძალები.

4. საქართველოში ჩამოსვლისთვის ალექსანდრე ებრალიძეს სჭირდება პოლიტიკური სტატუსი. მხოლოდ ზვიად გამსახურდიას დროინდელ უზენაეს საბჭოს, როგორც ერთადერთ კანონიერ და ლეგიტიმურ ორგანოს საქართველოში, შეუძლია ამის გაკეთება. ამისთვის უზენაესი საბჭო უნდა შეიკრიბოს საწყისი, სრული შემადგენლობით და მიანიჭოს ალექსანდრე ებრალიძეს ქვეყნის მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის სტატუსი. ამავე დროს, უზენაესმა საბჭომ უნდა მოამზადოს შესაბამისი პირობები ახალი, თავისუფალი არჩევნების დასანიშნად. მანვე უნდა გააუქმოს მის შემდგომ გამოცემული ყველა კანონი და ხელმოწერა, რაც შევარდნაძის და სააკაშვილის რეჟიმებთან არის დაკავშირებული.

5. ყოველივე ამის განხორციელების გარანტი უნდა იყოს ქართველი ხალხი ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე მასობრივი გამოსვლებითა და დემონსტრაციებით.

**ზურაბ გაგნიძე,**
პარტიის თავმჯდომარე;
**მამუკა გელაშვილი,**
პარტიის პოლიტიკური მდივანი

## „თეთრების" ინიციატივა

**„თეთრების" ლიდერი თეიმურაზ შაშიაშვილი ობამა-მედვედევის მოსკოვის შეხვედრის დღეებში კიევსა და მოსკოვში იმყოფებოდა, სადაც შეხვდა აფხაზებს, ოსებს, რუს მეცნიერებსა და ხელოვნების მოღვაწეებს.**



# დრო საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს

**ასკვნის თეიმურაზ შაშიაშვილი და ამას კონკრეტული მაგალითებითაც ასაბუთებს**

— შეხვედრის მონაწილე ექსპერტებთან და ჟურნალისტებთან კონსულტაციებმა დამარწმუნა, რომ საქართველოს ხელისუფლების ხელში დრო საქართველოს წინააღმდეგ მუშაობს, საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია ახალი ფილოსოფიის საგარეო პოლიტიკა, დიპლომატიურ ურთიერთობაში დაპირისპირების პოლიტიკა სისუსტის მაჩვენებელია, აგრესიული ტონი ვნებს ქვეყანასა და მის ხალხს.

თეიმურაზ შაშიაშვილის თქმით, აფხაზეთში ცოტა აფხაზი დარჩა, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოსთან ყოფნა კარგია. მათი აზრით თუ ეს ხელისუფლება, კიდევ ნახევარი წელი დარჩება, აფხაზეთზე ლაპარაკიც კი აღარ იქნება შესაძლებელი.

**— ჩვენ — „თეთრებმა" ახალი კურსი ავიღეთ, პირდაპირი დიალოგი დავიწყოთ აფხაზებთან, ოსებთან, რუსეთის მეცნიერებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან. მათი მონაწილეობით კი, საერთო ენის გამონახვის შემთხვევაში მეორე ეტაპზე, უკვე რუსეთის ხელისუფლებასთან ვაწარმოებთ დიალოგს".**

თეიმურაზ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ სექტემბერ-ოქტომბერში „თეთრები" დაიწყებენ ქართველი და რუსი მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების შეხვედრებს თბილისში, მოსკოვში, სოხუმში, ცხინვალში, ბაქოში, ერევანში.

თუ არ ვიფიქრეთ ერთიან კავკასიურ სახლზე, კავკასია ძლიერი ვერ იქნებაო.

თეიმურაზ შაშიაშვილი აღშფოთებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას სულ სხვა სინამდვილეს აწვდის, ვიდრე სინამდვილეშია, და რითაც მთელი მსოფლიო ცხოვრობს.

**— ზამთარში საქართველოს პრეზიდენტმა გვამცნო, კიევი ჩაბნელებულია, შუქი და გაზი არა აქვსო. ვითომ ეცოდებოდა უკრაინა. სინამდვილეში კიევი ისეთი გამშვენებული, როგორიც დღესაა, არასდროს ყოფილა, ის „ქალაქი-ბაღია". ასევეა, , მოსკოვიც, რომელიც მსოფლიოს პირველ ქალაქად გადაიქცა. იცით რა ღირს უკრაინაში ელექტროენერგია? ჩვენთან თუ 1 კილოვატსაათი14-17 თეთრია, უკრაინაში 3-4 თეთრი ღირს. გაზი ერთ სულ მოსახლეზე 40-50 თეთრია, ჩვენს ფულზე 4-სულიანი ოჯახი 2 ლარს იხდის. უკრაინელებს აქვთ ცენტრალიზებული ცხელი წყალი და გათბობა.**

**უკრაინაში ენერგორესურსების პატრონი უკრაინელი ხალხია, საქართველოში კი, რომელიც ჰიდროელექტროსადგურებით პირველ ადგილზეა, ქართველი ხალხი არაა მისი პატრონი.**

„თეთრების" ლიდერის აზრით, ბიუჯეტი იმიტომ გაიზარდა, რომ გადასახადებმა მოიმატა. გაიხსენეთ, რას იხდიდით უწინ და რას — ახლა. მისი თქმით, ჩვენთან სპორტულ სექციაში ბავშვის მიყვანა დიდ თანხებს უკავშირდება, როცა რუსეთსა და უკრაინაში ყოველ სახლს ბავშვთა უფასო სპორტული კომპლექსი აქვს.

ასევე, ძვირი სიამოვნებაა ფუნიკულიორზე ბავშვის აყვანა და გასეირნება, რაც მინიმუმ 100 ლარი მაინც ჯდებაო.

**— მინდა განათლებაზეც გელაპარაკოთ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და სხვა ქვეყნებმა გეზი იქით აიღეს, რომ უმაღლესი განათლების თვალსაზრისით მსოფლიოში პირველები იყვნენ, მაშინ როდესაც ჩვენ პირველები ვიყავით და ჩამოვქვეითდით.**

**ჩვენთან სტუდენტური სესხი 10 პროცენტზე მაღალია, რუსეთსა და უკრაინაში კი 5 პროცენტამდეა, ანუ ეს ქვეყნები, ჩვენგან განსხვავებით, ახალგაზრდებზე და განათლებაზე ფიქრობენ.**

თეიმურაზ შაშიაშვილის ინფორმაციით, „თეთრები", თავისუფალ მოაზროვნეთა ასოციაციასთან ერთად მალე გახსნიან ოფისს „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას". უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება. ამ მძიმე დღეში საქართველო პოლიტიკოსებმა ჩააგდეს და ხალხმა უნდა ისინი გაასამართლოს. გვინდა, რომ სახალხო მოსამართლედ დავითანხმოთ ევროპაში ცნობილი მოსამართლე მინდია უგრეხელიძე, — დაასკვნა თეიმურაზ შაშიაშვილმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### „ოპოზიციას „ხალასტოი ვისტრელი" გამოუვიდა"

**პოლიტიკური გაერთიანება „იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია ხელისუფლებისა და გარე ძალების მიერ დაგეგმილი სქემით მოქმედებს და ამ ეტაპზე ოპოზიციის პასიურობა იმით არის გამოწვეული, რომ ამ სქემის მიხედვით ჯერ სააკაშვილის შეცვლის დრო არ დამდგარა.**

სარიშვილის განცხადებით, გარე ძალებს არ აქვს ერთი კონკრეტული გეოგრაფიული დასახელება. სარიშვილის თქმით, აქ თანაბრად არის რუსეთის და აშშ-ს ინტერესები.

ოპოზიცია არ მოქმედებს დამოუკიდებლად, ის მოქმედებს კონკრეტული ძალების მითითებით, იგივე ძალებისა, რომლებიც ამ ხელისუფლების უკან დგანან. როგორც ჩანს, ამ ძალების აზრით ჯერჯერობით სააკაშვილის შეცვლის დრო არ დამდგარა და, აქედან გამომდინარე, ე.წ. „ხალასტოი ვისტრელი" გამოუვიდა ოპოზიციას, თუმცა ოპოზიციის ნიში დაკავებულია და ეჭვი არ მეპარება, რომ საჭიროების შემთხვევაში სრულ სიცარიელეზეც კი ტელეკომპანიები მათ რეკლამირებას განაგრძობენ. — განაცხადა სარიშვილმა.

### საკნების აღება სწორი გადაწყვეტილებაა

**პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის შეფასებით, რუსთაველის გამზირიდან საკნების აღების თაობაზე ოპოზიციამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.**

საკნების აღება სწორია, მაგრამ მათი დადგმა შეცდომა იყო, რადგან ამას ოპოზიციისთვის არანაირი ეფექტი არ მოუტანია. მართალია, ოპოზიციამ საკნების აღება დააგვიანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი „სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს" პრინციპით მოქმედებენ, მაინც მისასალმებელია, — განაცხადა ცინცაძემ.

მისივე თქმით, საკნები, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, არც ერთი ქვეყნის ისტორიაში არ მოიპოვება.

საკნები არ იყო პოლიტიკური ბრძოლის იარაღი. თუ რევოლუციაზე და ძალადობაზეა ლაპარაკი, კი ბატონო, მაშინ გასაგებია ამ იარაღის გამოყენება. რუსთაველის გამზირზე საკნების დადგმაც ძალადობა იყო, ოღონდ რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებსაც რუსთაველზე მანქანით გავლა-გამოვლა უნდოდათ და ამას ვერ ახერხებდნენ. ოპოზიციამ დისკომფორტი არა ხელისუფლებას, არამედ მოსახლეობას შეუქმნა, — განმარტა პოლიტოლოგმა.

### „დაიცავი საქართველო ვერაგი მტრისაგან!"

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია როინიშვილი ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებს, დააფიქსირონ პოზიცია რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის ცხინვალში ჩასვლასთან დაკავშირებით.**

პარლამენტის სხდომაზე როინიშვილმა განაცხადა, რომ „ორთავიანი იმპერიის ხელისუფლების ქმედებით" აღშფოთებულია და საქართველოში ყველა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ გაერთიანებას მოუწოდა, თავისი პოზიცია დააფიქსიროს საქართველოს მტრის წინააღმდეგ.

„დღეს საქართველოს დაცვა არა საკუთარი ხელისუფლებისგან, არამედ მომხდურისგან სჭირდება", — განაცხადა როინიშვილმა და დასძინა, — ღმერთო, დაიცავი საქართველო ვერაგი მტრის და უგუნური მოყვრისგანო.

მისივე თქმით, მაშინ, როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ქართული სახელმწიფოებრიობისთვის იბრძვის, ქართულმა საზოგადოებამ მიკიბ-მოკიბვის გარეშე, არაორაზროვნად მტერს თავის სახელი უნდა დაარქვას.

### სოციალური შეღავათები ომში დაღუპულთა ოჯახებს

**საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლების ოჯახები სოციალურ გარანტიებს მიიღებენ, რაც კანონით იქნება უზრუნველყოფილი.**

შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტს უკვე მომზადებული აქვს და იგი უახლოეს დღეებში ოფიციალურად იქნება ინიცირებული.

ამის შესახებ განცხადება პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე მას შემდეგ გაკეთდა, რაც საკითხი პარლამეტის წევრმა ჯონდი ბაღათურიამ გააპროტესტა საკითხის მოუგვარებლობა.

პარლამენტის თავმჯდომარემ კანონპროექტის ინიცირების დაჩქარება მოითხოვა.

თავის მხრივ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე განმარტავს, რომ პროექტის ძირითადი ნაწილი მზად არის და ამ დროისთვის მთავრობასთან კონსულტაციები ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარეობს.

### აშშ რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მოუწოდებს

**რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის ცხინვალის რეგიონში ჩასვლას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიც ეხმიანება.**

შესაბამისი განცხადება სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა იან კელიმ გააკეთა და განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის საქართველოს საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა ისევ არსებობს, ამ ვიზიტით კი მედვედევმა მათი ფუნდამენტური უთანხმოებები წინა პლანზე წამოსწია.

აშშ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ამ პოზიციას იზიარებენ ჩვენი პარტნიორები დიდ შვიდეულში, ნატოსა და ევროკავშირში. ყველა მათგანმა უარყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, მათი სუვერენიტეტი მხოლოდ ერთმა ქვეყანამ — ნიკარაგუამ ცნო, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა, რომლის განმარტებითაც, აშშ შეეცდება დაარწმუნოს რუსეთი, პატივი სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მონაწილეობა მიიღოს ჟენევის მოლაპარაკებებში და ასევე შეასრულოს 12 აგვისტოს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები.

### საქართველოსთან ომის შემდეგ არმიის რეფორმები დაიწყეს

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საქართველო-რუსეთის ომზე კიდევ ერთხელ, ამჯერად ნოვოროსიისკში ისაუბრა. მან ეს საკითხი ბოლო სამი დღის განმავლობაში უკვე მესამედ ქალაქის სამხედრო ბაზის დათვალიერებისას წამოწია.**

„იმედი მაქვს, ეს გაკვეთილი კარგად დაამახსოვრდებათ მათ, ვინც არსებული წესების შეცვლა და პირადი პრობლემების ძალადობის გზით გადაჭრას ცდილობს. ჩვენთვის კი ამ მოვლენებიდან მიღებული მთავარი გაკვეთილი შეიარაღებული ძალების მუდმივი და მაღალეფექტური სამხედრო წვრთნების ჩატარების აუცილებლობაა, — განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.

მისივე თქმით, სწორედ საქართველოსთან დაპირისპირების შემდეგ გადაწყდა არმიის სრული და დაუყოვნებლივი რეფორმირება.

ჯი-ეიჩ-ენი

პოზიცია

# აქ ცეკვავენ!

## ანუ რა მსგავსებაა XVIII საუკუნის საფრანგეთსა და დღევანდელ საქართველოს შორის



**ზუსტად 220 წლის და 2 დღის წინათ პარიზში ბასტილიის ციხე-სიმაგრის შტურმით დაიწყო საფრანგეთის დიდი რევოლუცია.**

**1791 წელს, როგორც ფეოდალური აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის სიმბოლო, ბასტილიის ციხე-სიმაგრე დაანგრიეს და მის ადგილას აღიმართა ობელისკი წარწერით: აქ ცეკვავენ!**

გაგიკვირდება ძვირფასო მკითხველო, ეს ჩემი განცხადება, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ დღევანდელ საქართველოსა და 220 წლის წინანდელ საფრანგეთს შორის ორი მეტად საგულისხმო მსგავსება ვიპოვე:

**1. დღევანდელ საქართველოში, ისევე როგორც 220 წლის წინანდელ საფრანგეთში, ფეოდალური აბსოლუტიზმი და დესპოტიზმი მეფობს!**

**2. დღევანდელ საქართველოში, ისევე როგორც 220 წლის წინანდელ საფრანგეთში, ცეკვავენ!**

ნამდვილად არ დავიწყებ ჩემი „აღმოჩენის" პირველი პუნქტის დეტალურ განხილვას, რადგანაც რა უნდა გითხრათ ისეთი, რაც ჩემზე უკეთ არ იცით.

რა საჭიროა, დეტალურად განვიხილო საერთო გაჭირვების, უმუშევრობისა და სიღარიბის ფონზე ავლაბარში 800 მილიონ დოლარად აშენებული „ფეოდალური აბსოლუტიზმისა და დესპოტიზმის" სიმბოლო, ან ვილაპარაკო ე.წ. პარლამენტის, ე.წ. წევრთა „მსუყე" ხელფასებსა და პრემიებზე, რაც, ჩემი აზრით, კორუფციის სრულიად ახალი, ქართული ვარიანტია.

საოცარია, მაგრამ უნებურად ჩნდება კითხვა: რას შრომობს ასეთს ან ეკა ხერხეულიძე, ან ნუგზარ წიკლაური (სხვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაძ, რომ ყოველთვიურად მოქალაქეების ისედაც მწირი შემოსავლებიდან „ამოღებული" თანხებით „შევსებული ბიუჯეტიდან", უზარმაზარ „ჯამაგირს" იღებენ? („ჯამაგირს"+პრემია+სხვა ხარჯები+დ.ა.შძ?

რა საჭიროა ვილაპარაკო სამმილიონიან ქვეყანაში დაპატიმრებულ 30 000 ადამიანზე და დღე-დღეზე მისაღებ ისეთ კანონზე, რომელიც ამ რაოდენობას კიდევ უფრო გაზრდის?

რა საჭიროა, ვილაპარაკო იმ უამრავ განუკითხაობასა და უაზრობაზე, რომელიც აბსოლუტურად ყველა სფეროში სუფევს?

ამიტომ პირდაპირ გადავალ მეორე პუნქტზე და პირდაპირ ვიტყვი: აქ ცეკვავენ!

ცეკვავს არა მარტო ხელისუფლება, თქვენ წარმოიდგინეთ და, ოპოზიციაც „კარგა გვარიანად „თამაშობს".

ისე ოპოზიცია უფრო მეტად „ცეკვავს", ვიდრე ხელისუფლება (აბა, ხელისუფლებას სად სცალია. თანაც სახურავზე ცეკვა ცოტა საშიშიაძ.

ცეკვავენ, მაგრამ მთლად ისე ვერა, როგორც „სუხიშვილები", „ერისიონი", ან თუნდაც ანსამბლი „გვირილა".

ეგ კი არა და, ამერიკულ მხატვრულ ფილმ „ვესტსაიდურ ამბავში" რომ ცეკვავენ, იმის მსგავსი ილეთებიც არ გამოსდით ამ ჩვენს პოლიტიკოსებს.

აი დოდო აბაშიძე მხატვრულ ფილმ „ყვარყვარეში" რომ ცეკვავს, იმას კი ნამდვილად უახლოვდებიან.

ცუდ მოცეკვავეს, რაღაც-რაღაცები ხელს უშლიდაო, მგონი ისე გამოდის ამ სამთვიანი საპროტესტო აქციების ამბავი.

საკნების დაბას (აბა, ქალაქი კარგა ხანია აღარ არისძ, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენს დავანახებთ, მერე ავიღებთ და სექტემბრიდან ახალი ტაქტიკითა და სტრატეგიით შევუდგებით „ბრძოლასო".

ჰოოოოოო", რთული შემთხვევაა!!

დავიჯეროთ?

მეტი არაა ჩემი მტერი, ვინმემ ეგ „ლოზუნგი" დაიჯეროს.

კარგით რა, თუ დასასვენებლად გინდათ წასვლა, გვითხარით. გიჭერთ ვინმე, თუ გაძალებთ რამეს?

დაისვენეთ თქვენც და დაასვენეთ „საინფორმაციო მიტინგებზე" მოსიარულე პენსიონერები, უფულო შეყვარებულები და „სოდის" თანამშრომლები.

და ბოლოს ქალბატონი გუგული მაღრაძის „მოთხოვნას" მინდა გამოვეხმაურო.

ნამდვილად არ მეპარება ეჭვი ქალბატონ გუგულის განათლებაში, საქმისადმი გულწრფელ და პროფესიულ დამოკიდებულებაში, მაგრამ მინდა ვთქვა, რომ როდესაც ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის პოსტის დაკავების სურვილი გამოთქვა, საკმაოდ სერიოზულად და სწორად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის დღევანდელი „ურთიერთობის ფონზე", შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის პოსტი, რბილად რომ ვთქვა, ძალიან განსხვავდება განათლების მინისტრის პირველი მოადგილის პოსტისგან (ეს შეიძლება რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში, სადაც კანონი კანონობს, ჰქონდეს მნიშვნელობა განათლების რეფორმის საკითხებში ოპოზიციურ აზრს, მაგრამ საქართველოში, დამერწმუნეთ, არანაირი მნიშვნელობა არ ექნებაძ.

არადა სააკაშვილმა, მართლაც რომ „გადმოაგდოს" ეს პოსტი, მერე რა მოხდება?

არა, ამ ქვეყანაში მართლაც „ცეკვავენ".

**გია გაბრიჭიძე**

დაუცველი ჯანდაცვა და პაციენტი



# როგორ გაგრძელდება ტრაგიკომედია „იაფი დაზღვევა?"

## რატომ არის პარლამენტისა და მთავრობის წევრთათვის „ვარდების რევოლუცია" დედა, ჩვენთვის კი დედინაცვალი?

**ძვირფასო მკითხველო, განვაგრძობთ ჩვენს პუბლიკაციებს ჯანდაცვის სისტემაში არსებული კატასტროფული მდგომარეობის შესახებ და ამჯერად, გვინდა თქვენი ყურადღება შევაჩეროთ უკვე ყბადაღებულ 5-ლარიან იაფ დაზღვევაზე.**

როგორც მოგეხსენებათ, 2009 წლის იანვრიდან საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გააუქმა ადრე არსებული პროგრამები და ისე, რომ, ამის შესახებ არ უცნობებია არათუ მოქალაქეებისათვის, არამედ თვით სამედიცინო დაწესებულებებისთვისაც, მოსახლეობა დატოვა ყოველგვარი ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების, ხოლო ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი (ექიმები და ექთნებიძ ყოველგვარი დაფინანსების გარეშე. მოსახლეობა იძულებული გახდა, გაურკვეველი სტანდარტებით (დამტკიცებული სამედიცინო სტანდარტები საქართველოში უკვე მე-5 წელია არ არსებობსძ ეხადა ფული (ამანაც არსებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე გამოიწვია სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობის მკვეთრი ზრდაძ.

რატომ და რისთვის? — ამ კითხვას ვერც ამბულატორია-პოლიკლინიკების მესვეურები უპასუხებდნენ (ინფორმაციის არარსებობის გამოძ და ვერც — ჯანდაცვის სამინისტროში (ნების არარსებობის გამოძ.

ერთი თვის შემდეგ მათ მიიღეს გაურკვეველი სახის ზეპირი ინსტრუქციები, რომ პაციენტებისთვის გაეწიათ მხოლოდ ფასიანი სამედიცინო დახმარება, რამაც ხალხის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, ანუ ის სერვისები, რაც რამდენიმე დღის წინათ უფასო იყო (ოჯახის ექიმთან ვიზიტი, ექიმ-სპეციალისტებთან კონსულტაციაძ, ერთი ხელის მოსმით ფასიანი გახდა. როგორც კი ჩინოსნებმა დაინახეს თავიანთი სიბეცე და, განსაკუთრებით, მოახლოებული დაგეგმილი აქციების ფონზე სახალხო-სოციალური მღელვარების ნიშნები, აღადგინეს 2008 წლის ამბულატორიული პროგრამა მხოლოდ 3 თვით — მარტიდან ივლისამდე, სასწრაფო წესით „გამოაცხვეს" ახალი გონებრივი „სიმწიფის" ნიმუში, ანუ ე.წ. იაფი 5-ლარიანი დაზღვევა (არავითარ სარწმუნო მტკიცებულებებზე დაფუძნებულიძ. ჯერ სახელი როგორ მოგწონთ? — აბა **დაზღვევა იაფად!** — ვის უნდა დაზღვევა იაფად! **ეს ჩარჩულ-მიკიტნური ტერმინი უფროა, ვიდრე სამედიცინო; იყიდე-გაყიდე რა ძარვასლაა?**

ახლა მოკლედ, ჩვენი გარკვეული განმარტებებით გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ახალი პროგრამიდან, კომენტარი კი თქვენთვის მოგვინდვია.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №34/ნ**

**2009 წლის 16 იანვარი ქ. თბილისი**

**7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ — „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტომ" ხელშეკრულებების გაფორმება/გაგრძელებისას იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:**

**ა.ა) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას 80% ოდენობით (2008 წელს 3 წლამდე იყო 100%, 3-15 წლამდე — 80%).**

**ა.ბ) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა კრიტიკული (2008 წელს 15 წლამდე იყო 100%.) მდგომარეობებისა და ნეონატოლოგიური მომსახურების ანაზღაურებას სრულად;**

**ა.გ) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გადაუდებელი დახმარების ანაზღაურებას სრულად (2008 წელს 15 წლამდე იყო 100%.);**

**ა.კ) 2008 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ზოგადი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული 3 წლამდე ასაკის ბავშვთა (გარდა სოფლის მოსახლეობისა) (სოფლად ხდება მხოლოდ მედპერსონალის ხელფასების დარიგება) ამბულატორიულ მეთვალყურეობას დანართი №7-ით განსაზღვრული მოცულობის შესაბამისად, ერთ მოსარგებლეზე წლიური კაპიტაციის დაფინანსების მეთოდოლოგიით, რომელიც შეადგენს 32,64 ლარს, თვეში 2,72 ლარს.**

**ბ) 2009 წლის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის საბიუჯეტო ასიგნებები ითვალისწინებს:**

**ბ.ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის — „სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ წარმოებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული პირების, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე, მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას სრულად (2008 წელს პროგრამა ემსახურებოდა ქვეყნის მთელ მოსახლეობას);**

**ბ.ბ) 3 წლამდე ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას 80% ოდენობით (2008 წელს 3 წლამდე იყო 100%);**

**ბ.დ) 30-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას 50% ოდენობით (2008 წელს იყო 100%);**

იხ. 4 გვ.

## ◉ დაუცველი ჯანდაცვა და პაციენტი

# როგორ გაგრძელდება ტრაგიკომედია „იაფი დაზღვევა?"



(მესამე გვერდიდან)

ბ.ე) 60 წლიდან ზემოთ ასაკის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას 70% ოდენობით (2008 წელს იყო 100%);

გ. მოსახლეობის ურგენტული მომსახურების 2009 წლის სახელმწიფო პროგრამა:

გ.ა) 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას 75% ოდენობით (2008 წელს იყო 15 წლის ზევით მოქალაქეთა);

გ.ბ) 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობისთვის კრიტიკული მდგომარეობების პირველი ექვსი დღის მკურნალობას (პირველი 6 დღის განმავლობაში გაწეული ხარჯები პაციენტის მხრიდან თანაგადახდას არ ექვემდებარება) (2008 წელს იყო 15 წლის ზევით მოქალაქეთა);

გ.გ) 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობისთვის პათომორფოლოგიურ გამოკვლევებს (2008 წელს იყო 15 წლის ზევით მოქალაქეთა);

დ) გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა:

დ.ა) 60 წელს ზემოთ ასაკის (2008 წელს ასაკი განსაზღვრული არ იყო) მოსახლეობისათვის გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების მკურნალობის ღირებულების (ნოზოლოგიური ჯგუფების) ანაზღაურებას 70% ოდენობით გარდა ანგიოპლასტიკისა;

დ.ბ) 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობისთვის გულისა და მაგისტრალური სისხლძარღვების შეძენილი პათოლოგიების ანგიოპლასტიკით მკურნალობის ღირებულების ანაზღაურებას 50% ოდენობით (2008 წელს ასაკი განსაზღვრული არ იყო და თანაგადახდა შეადგენდა 70%-ს სახელმწიფოს მხრიდან);

ე) 2009 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის კომპონენტის - ამბულატორიული მომსახურების სოფლად საბიუჯეტო ასიგნებები ითვალისწინებს:

ე.ა) სოფლის მოსახლეობისათვის დანართი №8-ით განსაზღვრული ამბულატორიული მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით სოფლის ექიმებისა და ექთნებისთვის/ფერშლებისთვის შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას, შემდეგი სახელფასო განაკვეთების მიხედვით: ექიმი – 456 ლარი, ექთანი/ფერშალი – 304 ლარი (დარიცხული ხელფასი) (2008 წელს იყო ბრიგადული – ოჯახის ექიმის/უბნის ექიმის – დაფინანსება, რაც მოიცავდა არა მარტო ხელფასს);

ე.გ) 2008 წლის პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის საოჯახო მედიცინის ქვეკომპონენტის, 2008 წლის დეკემბრის ხარჯის დაფარვას (არსად არ არის ნახსენები ქალაქის მოსახლეობის მომსახურების შესახებ)

ვ) ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა (ონკოლოგიის პროგრამა არ არის ტექსტურ ნაწილში – ამოღებულია თანდართული ცხრილიდან):

ვ.ა. 60 წელს ზემოთ ასაკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება (2008 წელს ასაკი განსაზღვრული არ იყო);

როგორც ზემოთ ჩანს, 3-დან 60 წლამდე მოსახლეობა ამოვარდნილია შემდეგი პროგრამების ფორმატიდან:

1. 2009 წლის ბავშვთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა;
2. 2009 წლის ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა;
3. 2009 წლის მოსახლეობის ურგენტული მომსახურების სახელმწიფო პროგრამა;
4. 2009 წლის გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამა;
5. ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

აი, ამ ყველაფრის ნაცვლად მოსახლეობას სთავაზობენ ე. წ. 50-ლარიან დაზღვევას, რომელიც მოიცავს იმას, რომ:

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს მზღვეველი 100%-ით, წლიური სადაზღვევო ლიმიტის 300 ლარის ფარგლებში.

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს მზღვეველი მხოლოდ 50 %-ით და წლიური სადაზღვევო ლიმიტის – 1000 ლარის ფარგლებში.

უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სტაციონარული მომსახურების ხარჯებს აანაზღაურებს მზღვეველი 100%-ით, წლიური სადაზღვეო ლიმიტის – 5000 ლარის ფარგლებში.

6. „ბაზისური" სადაზღვევო პოლისის პირობები არ ითვალისწინებს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღურებას, რომლის საჭიროებაც დადგა:

ბ) ომით, სამოქალაქო არეულობებში მონაწილეობის შედეგად;

გ) გარემოს დაბინძურებით და/ან ეპიდემიის აფეთქებით;

უფრო ნათელი რომ გახდეს რეალური ვითარება, მოგიყვანთ ნამდვილ ცხოვრებისეულ მაგალითებს.

- 50 წლის ნინო გ.-ს დიაგნოზია თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული (გართულებული დეკომპენსირებული პილოროსტენოზით). მკურნალობის ღირებულებაა 2650 ლარი (ურგენტული შემთხვევაა და 2008-ში 75 %-ით აფინანსებდა სახელმწიფო). 5-ლარიანი დაზღვევით დაზღვეული რომც იყოს, აუნაზღაურებენ მხოლოდ 1000 ლარს. რა ქნას უმუშევარმა, უმწეობის პოლისის არმქონე, 60 წლის ქვევით ასაკიანმა ქალბატონმა ნინომ? ჯერ კიდევ ენერგიულმა, ტკივილებთან და უექიმობასთან ბრძოლაში გაატაროს წლები?!
- ქალბატონი მ. კ. რამდენიმე წელია ქრონიკული ავადმყოფია, დიაბეტის ფონზე დღითი დღე კარგავს მხედველობას, საჭიროებს სასწრაფო ოპერაციებს, რომლებიც მხოლოდ საზღვარგარეთ კეთდება. მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობრებმა აჩუქეს ტელევიზორი და აქვს ძველი მაცივარი, ვერ მოხვდა უმწეოთა პროგრამაში. ამ ახალგაზრდა ქალბატონთანაც იგივე უიმედო სიტუაციაა.

| | მომსახურება | ლიმიტი | ანაზღაურების წილი |
|---|---|---|---|
| | პირველადი ჯანდაცვა | | |
| 1 | [illegible] | [illegible] | 100% |
| 2 | [illegible] | [illegible] 2 [illegible] | 100% |
| 2 | [illegible] | [illegible] 3 [illegible] | 100% |
| 3 | [illegible] | [illegible] 3 [illegible] | 100% |
| 4 | [illegible] | [illegible] 3 [illegible] | 100% |
| 5 | [illegible] | [illegible] 3 [illegible] | 100% |
| 6. | [illegible] | 300 [illegible] | 100% |

- 47 წლის გიორგი გ. მუშაობს, აქვს ანაზღაურება თვეში 300 ლარის ოდენობით. ესაჭიროება სარქვლის პლასტიკა (ღირებულება 15 106 ლარი), არ არის დაზღვეული, იაფი დაზღვევა არ ითვალისწინებს აღნიშნული პათოლოგიის მკურნალობას (რომც ითვალისწინებდეს, აუნაზღაურებენ მხოლოდ 1000 ლარს). 2008 წელს კი მას სახელმწიფო აუნაზღაურებდა მკურნალობის ღირებულების 70%-ს.

იგივე პრობლემაა ონკოლოგიაშიც და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ასეთი ადამიანებისათვის დახმარების აღმოსაჩენად სამინისტროში კომისიის სხდომა რამდენიმე თვეა არ გამართულა და ამბობენ, კარგა ხანი არც გაიმართებაო. არადა, შიგნით უკვე თანამშრომლებიც კი ჩურჩულებენ, რომ პარლამენტისა და მთავრობის წევრთათვის ლამის პლასტიკურ-კორექციული ოპერაციები ფინანსდება და მათი საერთო ბიუჯეტი საკმაოდ სოლიდურია. აი ასე, ჩემო კარგებო, ამათთვის „რევოლუცია" დედა აღმოჩნდა, ჩვენთვის და თქვენთვის – დედინაცვალი.

აქვე ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ „ბაზისური" სადაზღვევო პოლისის პირობები არ ითვალისწინებს იმ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღურებას, რომლის საჭიროებაც დადგა:

ბ) ომით, სამოქალაქო არეულობებში მონაწილეობის შედეგად;

გ) გარემოს დაბინძურებით და/ან ეპიდემიის აფეთქებით;

აქ კი როგორც იტყვიან „ნოუ კომენტ".

ყურადღება გასამახვილებელია კერძო სადაზღვევო კომპანიების მუშაობაზეც, რადგან არსებობს უამრავი საჩივარი როგორც მოქალაქეების, ასევე სამედიცინო დაწესებულებების მხრიდან სადაზღვევო კომპანიების მიერ დაუფარავ ვალდებულებებთან დაკავშირებით. თუმცა ეს ცალკე დიდი თემაა და მას ჩვენს სხვა პუბლიკაციებში შევეხებით.

აქვე კვლავ შეგახსენებთ, რომ 2008 წლის ამბულატორული პროგრამა აღადგინეს 3 თვით – მარტიდან ივნისის ბოლომდე და ჯანდაცვის სამინისტროში ამჟამად საგონებელში არიან, რა გაგრძელება მოუძებნონ ამ ტრაგიკომედიას, სახელად იაფი დაზღვევა რომ ჰქვია. თუმცა ამ ყველაფერს განაჩენი თვითონ ხალხმა გამოუტანა, როცა „გეგმიური" 500 000 ბენეფიციარის ნაცვლად მთელ საქართველოში დაზღვეულია მხოლოდ 20 000-ამდე ადამიანი. და კიდევ: ის თანხები, რაც ამ პროგრამის ტელევიზიით და სარეკლამო საშუალებებით „გაპიარებას" მოხმარდა, ნამდვილად ეყოფოდა ერთი აუცილებელი პროგრამის დაფინანსებას.

მეტი რა გითხრათ, ჩემო მკითხველო, როგორც იტყვიან, რით გაგახაროთ?!

**მარინა ბერიძე,**
ექიმთა კომიტეტის თავმჯდომარე.

## ◉ ინფორმაცია

### ივლისის ხელფასს ტაძრის ფონდს შესწირავენ

დეპუტატები ივლისის ხელფასიდან თანხებს ნებაყოფლობით გადარიცხავენ თბილისში მშენებარე წმინდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის ფონდში.

თანხის გადარიცხვის შესახებ მოწოდება გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ გააკეთა.

როგორც მან განაცხადა, წმინდა ვახტანგ გორგასლის ეკლესიას აგვისტოს ომში დაღუპული სამხედროს ვახტანგ გზირიშვილის დედა აშენებს. ბაქრაძეს მასთან რამდენჯერმე ჰქონია შეხვედრა და როგორც აცხადებს, იგი მართლა ამაყობს იმით, რომ მისი შვილი სამშობლოსთვის დაიღუპა.

ბაქრაძე აცხადებს, რომ ამ ტაძრისთვის თანხის შეწირვა ორმაგად მნიშვნელოვანი იქნება იმის გამო, რომ ნებისმიერი ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა არის მადლი და მეორეს მხრივ იმით, რომ ეს ტაძარი ომში დაღუპული გმირების სულის მოსახსენიებლად შენდება, იმ გმირების, რომლებმაც ქვეყნისთვის სიცოცხლე გაწირეს.

### ღუდუშაურის კლინიკიდან დაზარალებული ბავშვები გაეწერნენ

ღუდუშაურის კლინიკაში მკურნალობას მხოლოდ ერთი დაშავებული პატრიოტი აგრძელებს. ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებული ახალგაზრდებიდან ამ დროისთვის ღუდუშაურის კლინიკაში მკურნალობას მხოლოდ ერთი მოზარდი აგრძელებს.

იგი ტრავმატოლოგიურ განყოფილებაშია მოთავსებული, თუმცა მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ღუდუშაურის საავადმყოფოში ავარიის შედეგად დაშავებული სულ 8 ბავშვი მოათავსეს. უმეტესობას ზოგადი დაჟეჟილობები ჰქონდა, რის გამოც ისინი გამოკვლევების შედეგად გაწერეს.

მოზარდები თბილისში ქუთაისიდან სასწრაფო დახმარების მანქანებით გადმოიყვანეს.

### თვრამეტი საათი ერევნიდან ბათუმამდე

გუშინ ერევანში იმ საფირმო სამგზავრო მატარებლის პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ერევანი-ბათუმის მარშრუტზე ივლის.

სადღესასწაულო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ტიგრან სარქისიანმა, ეროვნული კრების სპიკერმა ოვიკ აბრამიანმა და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრმა გურგენ სარქისიანმა.

მატარებელი 12 ვაგონისგან შედგება, რომლებშიც 350 მგზავრი თავსდება. ერევან-ბათუმის გზის გავლას 18 საათის მონდომებს.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# პუტინმა ობამა კრემლის პოლიტსამზარეულოში ჩაახედა და მიანიშნა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის დათმობას არ აპირებს



*„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა პიროვნული და კომუნიკაციური რესურსების ცენტრის ხელმძღვანელს, ფსიქოლოგ დავით ამირეჯიბს.*

**— ბატონო დავით, ობამა-მედვედევის შეხვედრა მოსკოვში დატვირთული ჩანდა სიმბოლოებით. გეკითხებით, როგორც ფსიქოლოგს, თქვენი აზრით, რა სიმბოლურ მესიჯებს ატარებდა ეს შეხვედრა?**

— სიმბოლური ენა მედვედევთან და პუტინთან ობამას შეხვედრებისას განსხვავებული იყო. რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა უფრო ფერთა სიმბოლიკით იყო დატვირთული, აქ რუსეთის დროშის ფერები ფიგურირებდა - ლურჯი კოსტიუმები, წითელი ჰალსტუხები, თეთრი პერანგები. 7 ივლისს წითელი ჰალსტუხები შეიცვალა ლურჯით. წითელი ფერი სიმბოლურად აღნიშნავს – ნებისყოფის ძალას, აქტიურობას, აგრესიულობას, შემტევითობას, ძალაუფლებას, სექსუალურობას, ლურჯი ფერი კი – სიმშვიდეს, კმაყოფილებას, სათნოებასა და ურთიერთგაგებას. წითელი ფერის ლურჯით ჩანაცვლება კი იმის მანიშნებელია, რომ პირველი დღის აქტიურ, შემტევ დისკურსს მეორე დღეს ჩაენაცვლა უფრო მშვიდი, ზომიერი ხასიათის მქონე დიალოგის და ურთიერთგაგების სურვილი, გამოხატული ორივე პრეზიდენტის მიერ. პრეზიდენტების არავერბალური მესიჯით, სწორედ მტკივნეულ პრობლემათა ღია, დაუფარავი განხილვაა საწინდარი ერთმანეთის პოზიციათა ღრმა, მიუკერძოებელი გაგების და, სულ მცირე, კომპრომისული შეთანხმებების მიღწევის.

მედვედევთან შეხვედრისას, ორი პრეზიდენტი ფერთა ერთ, კონგრუენტულ (თავსებადძ, არავერბალურ ენაზე საუბრობდნენ.

**— და რა იყო განსხვავებული ობამასა და პუტინის შეხვედრაში?**

— პუტინმა ობამას თავს მოახვია ეკლექტური, რუსულ-საბჭოური, უგემოვნო სიმბოლური კონტექსტი, რომელიც უფრო ფსიქოანალიზის ობიექტია, ვიდრე პოლიტიკის. პუტინმა ობამას შესთავაზა, ჯერ სარკმლიდან შეხედა რუსული, პოლიტიკური სამზარეულოსთვის, ასე ვთქვათ, შორიდან, ზემოდან და შემდეგ მიიპატიჟა კერძების დასაგემოვნებლად. ობამა მიპატიჟებული იყო არა დიალოგისთვის, არამედ როგორც მაყურებელი და მისთვის უკვე წინასწარვე გამზადებული კერძების დამგემოვნებელი. აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ პოლიტიკური სამზარეულოს მზარეულებს შორის არ იყო რუსეთის პრეზიდენტი. ასეთი იყო პუტინის პასუხი ობამას შორსმიმავალ განცხადებაზე, რომ პრეზიდენტის და პრემიერის ფუნქციები დემოკრატიულ სახელმწიფოში მკვეთრად უნდა იყოს დიფერენცირებული და პრემიერის საქმიანობა არ უნდა სცილდებოდეს კონსტიტუციით და კანონებით განსაზღვრულ ჩარჩოს.

ადვილი გამოსაცნობია ჩარჩოდან გამოსვლის და ფუნქციათა გადამეტების რა შედეგებზე ხდება მინიშნება, თუნდაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა აქტუალურ კონტექსტში.

**— რა სიმბოლური მესიჯები იყო განკუთვნილი ობამასთვის პუტინის სამზარეულოდან?**

— უპირველესი მესიჯი თვითონ პოლიტსამზარეულოა, – შეფმზარეული და მზარეულთა შემადგენლობა. მეორე მესიჯია – სამზარეულოს ატრიბუტი – პუტინისეული პოლიტიკის სამოვარი (თვითმხარშიძ. სამოვარს ახურებს ივანუშკა, სავარაუდოდ, ცხინვალიდან ან ახალგორიდან, სტუმრისთვის საგანგებოდ ჩამოტანილი და გაპრიალებული რუსული ჩექმით.

**— რა პოლიტიკური ჩაი დუღდება ამ სამოვარში?**

— მაგიური ნაყენი – უკვდავების ელექსირი საბჭოთა ელიტებისთვის, ივანუშკებისთვის. სწორედ



ასეთი ნაყენის სმის შედეგია უკვდავი საბჭოთა ელიტა. შევარდნაძის ჩაიც ამ სამოვარში დუღდებოდა. გაიხსენეთ კარელ ჩაპეკის პიესა „მაკროპულოსის საშუალება“, სადაც მოთხრობილია ელინ მაკროპულოსის შესახებ, რომელმაც დალია მამამისის, იმპერატორ რუდოლფ II-ის მკურნალი ექიმის მიერ დამზადებული ელექსირი და გახდა უკვდავი. ეს პიესა იანაჩეკმა დადგა ოპერაში, ხოლო ლენინმა და სტალინმა მსგავსი პიესა, ტროცკის იდეების გამოყენებით, დადგეს საბჭოთა პოლიტიკურ სცენაზე.

**— თქვენ პოლიტიკურ უკვდავებაზე საუბრობთ?**

— საბჭოთა ელიტისთვის ივანუშკათა კომუნისთვის უკვდავების ელექსირი ხელისუფლების პერმანენტული ფლობაა. ჩაპეკი ყვება უკვდავებაზე პიროვნებისთვის და მოყირჭებულ სიცოცხლეზე, როდესაც, უკვდავების ფონზე, აზრს ყველაფერი კარგავს. საბჭოთა წყობა, კომუნიზმი არის უკვდავება არა ინდივიდებისთვის, არამედ – სახეობისთვის. ამ პოლიტიკური სახეობის გადარჩენის ბიოლოგიური პრინციპია საიდუმლო ხელისუფლების პერმანენტული ფლობა. ხელისუფლებას პერმანენტულად ფლობენ არა მოკვდავი პიროვნებები (მეფეები, პრეზიდენტებიძ, არამედ – უკვდავი სტრუქტურა, კომუნა. სწორედ საბჭოთა კომუნამ დაგმო მოკვდავი პიროვნების კულტი და აღიარა უკვდავი „ყველას“ მმართველობა. ასე ებრძვის უკვდავი საბჭოთა ქართული ელიტაც ურჩ პრეზიდენტებს მეთოდით – „ყველა – მინუს ერთი“.

**— მაგრამ შევარდნაძის ჩაი მიშამაც ხომ დააგემოვნა?**

— სააკაშვილმა დააგემოვნა ეს ნაყენი ვარდით ხელში, მაგრამ ძნელი სათქმელია, რა წყურვილი ამოძრავებდა მაშინ, სითხის თუ უკვდავების. ფაქტია, რომ ცხინვალში, სოხუმსა და მოსკოვში რუსული ჩექმა ახურებს სამოვრებს უკვდავების ელექსირით რუსული, ქართული, აფხაზური, ოსური საბჭოთა ელიტებისთვის – მალე შევალთ კომუნიზმში!

**— თქვენი აზრით, სავარაუდოდ, რა შედეგით დასრულდა ობამა-მედვედევისა და ობამა-პუტინის ფსიქოლოგიური ორთაბრძოლა და რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით რა ნაბიჯებს შეიძლება ველოდოთ?**

— ობამას განცხადებას საქართველოს შესახებ მედვედევმა დუმილით უპასუხა, ეს დუმილი შეავსო პუტინის სამზარეულოს სიმბოლურმა ტექსტმა, ვერბალური ტექსტის შესახებ ცნობები არ მაქვს. ვიზიტის მთავარი შედეგი ის არის, რომ დემოკრატიული ქვეყნის ინტელექტუალი პრეზიდენტი მოხვდა საბჭოთა პოლიტსამზარეულოს სიურრეალურ გარემოში.

ვფიქრობ, ეს გამოცდილება მას მისცემს საშუალებას, უკეთ ჩაწვდეს საბჭოთა, ელიტარულ ირაციონალურ სამყაროს და მონახოს მასთან ურთიერთობის რაციონალური, მათ შორის ფსიქოანალიტიკური გზები და ენა. მოსკოვი აშშ-სთან ურთიერთობაზე უარს არ ამბობს, მაგრამ მიანიშნებს, რომ რუსულ პოლიტსამზარეულოში, სადაც საბჭოთა ელიტებისთვის უკვდავების ელექსირი იხარშება, არაფერი არ შეიცვლება. პუტინმა ობამა კრემლის პოლიტსამზარეულოში ჩაახედა და მიანიშნა, რომ მოსკოვი პოსტსაბჭოთა სივრცის დათმობას, მასზე კონტროლისთვის ბრძოლაში უკან დახევას არ აპირებს. სწორედ ამის დასტურია მედვედევის ვიზიტი ცხინვალში, რომლის დროსაც მას თავდაცვის მინისტრი და სამხედრო მაღალჩინოსნები ახლდნენ.

**კობა ბენდელიანი**

თავისუფალი ეკონომიკური ზონა

# რას ეკუთვნის ბოლო სიტყვა?..

**ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ქვეყანაში ახალი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კარგი შესაძლებლობების შექმნა, ეროვნული მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარების შესანიშნავი პერსპექტივები და ნანოტექნოლოგიების შემოტანის დაჩქარება** – უმთავრესად ამას ელიან არაბული ჯგუფის „რაკია საქართველო თიზის“ მიერ ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობისგან. პროექტით მშენებლობის პირველი ფაზა, რომლის დროს განხორციელდება ტოპოლოგიური სამუშაოები, გრუნტის შესწავლა, ზონის 300 კვადრატული ჰექტარის ტერიტორიის დასუფთავება და შემოკავება, წლის დამლევამდე უნდა დასრულდეს. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობის გეგმის თანახმად, მისი ინფრასტრუქტურა მთლიანად ოთხ წელიწადში გაიმართება, ხოლო სამშენებლო სამუშაოთა მეორე ეტაპს „რაკია საქართველო თიზი“ 2010 წელს დაიწყებს. **ამდენად, თავდაპირველად, მშენებლობის გეგმით, მთლიანად ინფრასტრუქტურის მოწყობაა განზრახული, მეორე ეტაპზე ააგებენ სასაწყობო კომპლექსს, ბიზნეს-ცენტრებს, ოფშორულ-ფინანსურ ოფისებსა და სადისტრიბუციო პარკს.** აღსანიშნავია ისიც, რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში პირველ ხანებში დაბალი სატარიფო განაკვეთების სისტემა იმოქმედებს. კერძოდ, ბიზნეს-გეგმის მიხედვით, **მწარმოებელი კომპანიებისთვის ერთი კვადრატული მეტრის მიწის ფართის წლიური საფასური ხუთი დოლარიდან დაიწყება, ხოლო თავად სარენდო გადასახადი 10 წლის ვადით იქნება დაფიქსირებული. გარდა ამისა, საპროფილო ლიცენზიების ფასის ქვედა ნიშნული 2 ათასი დოლარი იქნება.**

როგორც ჩანს, პირველ ეტაპზე მაინც, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საქართველოს დასავლეთ ნაწილში მოიყრის თავს. კერძოდ, ფოთის გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ახლო მომავალში ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის 27 ჰექტარის ფართობზე გაშენდება, რაშიც ეგვიპტური „ფრეშ ელექტრიკ კომპანი“ დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარის დაბანდებას აპირებს. **რამდენიმე წლის განმავლობაში აქ ავეჯის, კერამიკულ ნაკეთობათა, ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა, საყოფაცხოვრებო საგნების, ტრიკოტაჟისა და სხვა პროდუქციის მწარმოებელი თორმეტი ფაბრიკა-ქარხნის აშენებას გეგმავენ.**




ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ გადასახედიდან იქნებ გარკვეულწილად ძნელი განსაჭვრეტი იყოს, თუ რამდენად სჭირდება საქართველოს კერძოდ ამ სახეობის პროდუქცია და რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება ის ქვეყნის შიდა ბაზარზე, ანდა მის საზღვრებს გარეთ. ამიტომ ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, საჭიროა მომავალი პროდუქციის ხარისხზე ამთავითვე ზრუნვა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქუთაისის თავისუფალი ეკონომიკური ზონის მშენებლობის პერიოდში მთლიანად დაახლოებით 15 ათასი კაცი დასაქმდება, თუმცა ამჟამად იქ ჯერჯერობით მხოლოდ 300-400 კაცი მუშაობს, რომელთა რიცხვი წლის დამლევამდე დაახლოებით ორ ათას კაცს მიაღწევს, ხოლო მათი საშუალო ყოველთვიური ხელფასი 300-500 ლარს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ „ფრეშ ელექტრიკ კომპანია“ ქუთაისში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობის პროექტს ქართულ კომპანია „ჯორჯიან ინტერნეშნლ ჰოლდინგთან“ ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე ერთობლივად ახორციელებს. ქუთაისში ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის პირველი ეტაპი წელიწადნახევარში დასრულდება.

**ოთარ ტურაბელიძე.**

გლობუსი



# ობამა და ირანის პრობლემა

**ობამას მოსკოვში ვიზიტთან დაკავშირებული აჟიოტაჟი ჯერაც არ ჩამცხრალა. ქართველი პოლიტიკოს-პოლიტოლოგები თავსაც ირწმუნებენ და სხვათაც არწმუნებდნენ, რომ არა ობამა, რუსეთი შარშანდელივით ომს დაგვიწყებდაო, ჩრდილო კავკასიაში სამხედრო წვრთნები ომის პრელუდია იყოო და სხვა. ხელისუფალთა და მას აყოლილ „ექსპერტთა" მეცადინეობით კარგა ხანია შეშინებული მოსახლეობა ერთმანეთს ეკითხება დაიწყება თუ არა ომი. როგორც ყოველთვის ხელისუფლებამ თავის სასარგებლო ქულები ჩაიწერა, განაცხადა რა ობამას მიერ რუსეთის გაფრთხილებაში ჩემი წვლილიაო".** ვიზიტამდე სულ იმაზე იყო საუბარი, დაიწყებოდა თუ არა ომი რუსეთთან, ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ უახლოეს პერიოდში ომს არ უნდა ველოდოთ და ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალება ეძლევა", ამბობს ერთი „პოლიტოლოგთაგანი". ნეტავ რამდენი ხანი გაგრძელდება „ამოსუნთქვის საშუალება?" ალბათ იმდენი, რამდენიც ხელისუფლებას ენდომება. დასჭირდება შიშის ტალღის აგორება და აალაპარაკებენ ილარიონოვებს, ფელგენგაუერებს, ლატინინებს, ამერიკაში ჩანერგილ პიონტკოვსკებს, მათთან ერთად ქართულ მედიას თავის „ექსპერტებიანად" და ასე იქნება მუდამ, ვიდრე ეს ხელისუფლება იარსებებს. ომი დიდ დანაშაულად ითვლება, მაგრამ არანაკლებია ამ თემაზე მოსახლეობის დაზაფვრა, დაშინება, მუდმივ განსაცდელში ყოლა. ხელისუფლების მიერ აგორებულმა ომის საფრთხის ისტერიამ უცხოელ ინვესტორზეც იმოქმედა, რაც ხელისუფლებას ნაკლებად ანაღვლებს. მისთვის მთავარი სკამის შენარჩუნებაა. **ობამამ გადაგვარჩინა! დაე ასე იყოს, მაგრამ, ჩემის აზრით, გადაგვარჩინა იმ გაუთავებელი საინფორმაციო მილიტარისტული შეტევისაგან, რომელიც გამაყრუებელი ხმაურით — რუსი მოდისო, ნიაღვარივით მოედინებოდა ყოველივე ჩვენგანისკენ. ერთი სიტყვით — „გადავრჩით". გადავრჩებოდით შარშანაც, ჩვენ რომ არ დაგვეწყო.**

„ნამდვილი ლიდერი ანუგეშებს საზოგადოებას, ეხმარება მას შიშის გადალახვაში. დემაგოგი იყენებს შიშს პოლიტიკური მიზნებისთვის", წერს ნობელის პრემიის ლაურეატი, აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი.

საზოგადოებაზე ზეგავლენის მოპოვებაში უდიდესი როლი ენიჭება მასმედიას, განსაკუთრებით, ელექტრონულს. ტელეარხებისა და ინტერნეტის ზღვა ინფორმაციის წინაშე დაუცველია ადამიანი. მისთვის სულ უფრო ძნელი ხდება ინფორმაციის უწყვეტი ნაკადიდან ობიექტურის ამოღება, სინამდვილის და ფალსიფიკაციის ერთმანეთისგან გარჩევა, პოლიტიკური დაკვეთით შესრულებული „ჭეშმარიტების" და ნამდვილი ჭეშმარიტების დადგენა. არაობიექტური ინფორმაციის მსხვერპლია, როგორც საქართველოს ისე სხვა ქვეყნის მოსახლეობაც. ნათელი მაგალითი ამისა იყო ირანის მოვლენების ტენდენციური გაშუქება. ტელეკომპანიებმა სი-ენ-ენ-მა, ბი-ბი-სიმ, ალ-ჯაზირამ, სხვებმა ჩვეული ოსტატობით მოახერხეს მსოფლიოს საზოგადოების, ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობა. ეკრანებზე ჩანდა ოპოზიციური ლიდერების, განსაკუთრებით მუსავის მომხრეთა დემონსტრაციები და მიტინგები. მოქმედი პრეზიდენტის მხარდამჭერთა მიტინგი წამიერი იყო. არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენების ჩვენება, მომიტინგეთა შეხლა-შემოხლა პოლიციასთან, პერმანენტულ რეჟიმში მიეწოდებოდა მაყურებელს.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამართული წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატთა პრეტენზიებისა და პრობლემების გარეშე წარიმართა, რაც ხელისუფლების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. კანდიდატებს ჰქონდათ თანაბარი პირობები, თანაბარი სატელევიზიო ეთერი. ირანის თანამედროვე ისტორიაში პირველად ჰქონდა ადგილი ტელედებატებსაც. წინასაარჩევნო კამპანია, თავისი დემოკრატიულობით არაფრით ჩამოუვარდებოდა ევროპულს.

არეულობა წინასწარი მონაცემების გამოქვეყნებისთანავე დაიწყო. მუსავის მომხრე ახალგაზრდები გამოვიდნენ თეირანის ქუჩებში. აჰმადინეჟადის მიერ მიღებულმა ხმათა 63 პროცენტმა ცუდად იმოქმედა პროტესტანტებზე. პრეზიდენტს 39 მილიონი ამომრჩევლიდან მხარი 25 მილიონმა დაუჭირა. ოპოზიციონერებს: მუსავის — 13 მილიონმა, კიარუბის — 300 000-მა. დასაწყისში უკმაყოფილოთა ტალღა თეირანში შეინიშნებოდა. მოგვიანებით მან თავი იჩინა ძველ დედაქალაქ ისპაჰანში, შირაზში, სხვაგან. ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი" წერდა: „ახალგაზრდები ცეცხლს უკიდებდნენ ავტომანქანებს, მაღაზიებს, ამსხვრევდნენ ვიტრინებს". დასაწყისში დემონსტრანტები მოითხოვდნენ არჩევნების შედეგების გადამოწმებას, შემდეგ გაუქმებას და ახალი არჩევნების დანიშვნას. რაც დრო გადიოდა, მკაცრდებოდა ულტიმატუმი. მათ შორის გაისმა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის შეცვლის მოწოდებაც, რასაც დიდი ხანია ელოდა დასავლეთი.

**ირანის ისლამური რევოლუცია, რომელმაც 1979 წელს წერტილი დაუსვა შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევისა და აშშ-ს ბატონობას, 30 წელია მოსვენებას არ აძლევს ვაშინგტონს. თუ ობიექტურად თვალს გადავავლებთ გასული საუკუნის ირანის პოლიტიკურ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ირანელთა ნეგატიური განწყობა, როგორც აშშ-ს, ისე მის მოკავშირეების მიმართ ობიექტურია. ქვეყანა გადაქცეული იყო დიდი სახელმწიფოების საჯილდაო ქვად. 1953 წელს აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ იოლად შეძლო ახალგაზრდა დემოკრატიის, პრემიერ მოსადეკის სახით მოგუდვა და ტახტის რეზა ფეჰლევისთვის დაბრუნება. 1979 წლის რევოლუციის შემდეგ შეურაცხყოფილმა ვაშინგტონმა სადამ ჰუსეინის ერაყი მიუქსია ირანს. 8-წლიან ომში მილიონზე მეტი ირანელი დაიხოცა. ირანს პირდაპირ თუ ირიბად 50 ქვეყანა ეომებოდა. ირანელები ვერ დაივიწყებენ იმასაც, რომ აშშ-ს თვალწინ ერაყი იყენებდა აკრძალულ ქიმიურ იარაღს. აქვს თუ არა ირანს უფლება გულისტკივილით, წყრომით გაიხსენოთ მის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები? აქვს თუ არა მას უფლება ეჭვის თვალით შეხედოს აშშ-ს, ინგლისის, ისრაელის ხელმძღვანელთა განცხადებებს და ქმედებებს მის მიერ ბირთვული ენერგიის კვლევით სამუშაოებთან დაკავშირებით?** განცხადებებში გამოკვეთილად არის აღნიშნული ირანის ბირთვულ ობიექტებზე საჰაერო თავდასხმის განხორციელების თაობაზე. ბარაკ ობამას მოსკოვში ჩასვლის დღეს აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, **რომ აშშ არ შეაჩერებს ისრაელს, თუკი ის გადაწყვეტს ირანის ბირთვული კვლევის ობიექტების დაბომბვას.** აქვს თუ არა უფლება აიათოლა ჰამენეის პასუხად თქვას შემდეგი: „ჩვენ ვაფრთხილებთ იმ ქვეყნების ლიდერებს, რომლებმაც ირანში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე დრო იხელთეს — ფრთხილად! ირანელი ხალხი გიპასუხებთ! ირანის საშინაო საქმეებში ცხვირის ჩამყოფნო უნდა იცოდეთ — მიუხედავად ერთმანეთში არსებული სხვადასხვაობისა, როდესაც მტერი გვიტევს, ირანელი ხალხი ერთ მუშტად იკვრება თქვენს წინააღმდეგ".

ა.წ. მარტში ამერიკულმა პრესამ დაბეჭდა თავის ხელთ ჩავარდნილი საიდუმლო მასალა იტალიაში აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს და უცხოეთში მცხოვრებ შაჰის მომხრე ირანელებთან შეხვედრის შესახებ. ფარული გეგმის მიხედვით 18-მილიონიან თეირანში უნდა განხორციელებულიყო საქალაქო ტრანსპორტის საბოტაჟი, რასაც მოჰყვებოდა არეულობა და რევოლუცია. მეორე გეგმით საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაიწყებოდა არეულობა, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდევაც.

**ირანი, რომ დაჰყოლოდა დასავლელთა სურვილებს რეგიონული სახელმწიფო იქნებოდა. მისმა დაპირისპირებამ აშშ-თან, ისრაელთან, ინგლისთან, ირანს ლოკალურობაზე მეტი ფუნქცია შესძინა. ირანის როლი ახლო აღმოსავლეთში განუსაზღვრელია, ისე, როგორც ისლამურ სამყაროში. ერაყიდან აშშ-ს ჯარის გასვლის შემდეგ უდავოდ განმტკიცდება ირანის პოზიციები ამ ქვეყანაში, რაც თავისთავად იწვევს ვაშინგტონ-თელ-ავივის შეშფოთებას. ირანის ბირთვული კვლევის პროექტი არანაკლები შეშფოთების საგანია. დასავლეთს არ სჯერა ირანის მტკიცების, მშვიდობიანი ატომის თაობაზე. აიათოლა ჰომეინის და მისი საქმის გამგრძელებლის აიათოლა ჰამენეის განცხადებები, რომ ბირთვული იარაღი და ისლამური ირანი შეუთავსებელია, დაუჯერებელია ოფიციალური ვაშინგტონთელ-ავივისთვის.** დასავლეთი მოითხოვს ირანის მიერ ურანის გამდიდრების კვლევითი სამუშაოების შეჩერებას. ირანი სამუშაოებს აგრძელებს, ვინაიდან მიიჩნევს, რომ დაშვებულ 5-პროცენტიან ჩარჩოებში ეტევა. ანალოგიური აზრისაა საერთაშორისო ბირთვული ენერგიის სააგენტოც. ირანელები სიამაყით არიან გამსჭვალულნი საკუთარი ბირთვული კვლევების მიმართ. ეს მათთვის ლამის მთვარეზე გაფრენის ტოლფასია. ბირთვულ საკითხს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი უჭერდა მხარს, მაგრამ ლიბერალი მუსავი დასავლეთისთვის უფრო მისაღები იყო, ვიდრე ჯიუტი, ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგომი აჰმადინეჟადი. თავისი ოთხწლიანი პრეზიდენტობის დროს აჰმადინეჟადმა სახელი გაითქვა თამამი, პირდაპირი განცხადებებით, ისრაელის და აშშ-ს ხელისუფალთა სისტემური მხილებით. კონფრონტაციულიაო — ხშირად ამბობენ მასზე ამერიკელი პოლიტიკოსები. ხალხის მოთხოვნების გაზიარება, მისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესება, ქვეყნის სიძლიერეში წვლილის შეტანა, დასავლეთში კონფრონტაციულად აღიქმება. ჟურნალი „ეკონომისტი" წერდა თუ ვინ უჭერდა მხარს აჰმადინეჟადს — რევოლუციის დაცვის გუშაგები, მისი მარჯვენა ხელი „ბასიჯები", არმია, პოლიცია, სადაზვერვო სამსახური, შიიზმის კონსერვატორი მიმდევრები, გლეხები, პენსიონერები, ომის ვეტერანები, დიდი ქალაქების ღარიბთა გარეუბნები. 75-მილიონიან ირანში ჩამოთვლილი კატეგორია უმრავლესობას შეადგენს.



ირანის ისლამური რესპუბლიკა ის ქვეყანაა, სადაც რელიგია ქვეყნის ცხოვრების მთავარი განმსაზღვრელია. რელიგიური საზოგადოება დარაზმულია რელიგიური ხელისუფლების ირგვლივ, მაგრამ, როგორც ჩანს 30-წლიანმა ამერიკულმა პროპაგანდამ, მილიონობით დოლარმა თავისი გააკეთეს. ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ ყოველდღიურად, სისტემატურ რეჟიმში, სპარსულ ენაზე 7 უცხოური ტელეკომპანია მაუწყებლობს. დავუმატოთ ამას ინტერნეტი, მობილური ტელეფონები — ორივეს ფართოდ აქვს კარი გახსნილი ირანში, აგრეთვე უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციები და მივიღებთ სისტემისთვის საწინააღმდეგო მონოლითურ მანქანას. მან ნაწილობრივ მიზანს მიაღწია, დაძრა რა სტუდენტობის და ბობოლა მეწარმეთა ჯგუფი სახელმწიფო სისტემის წინააღმდეგ. ახალგაზრდები უჩადრო, თავისუფალი ცხოვრების მოთხოვნით გამოდიოდნენ. მათ ყელში აქვთ ამოსული თეოკრატიული მმართველობა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს რელიგიით მობეზრებას. რელიგია არის ქვეყნის შემაკავშირებელი ფაქტორი. აშშ-ს სპეცსამსახურები სწორედ რელიგიის კუთხით ცდილობენ ირანის საზოგადოებაში ბზარის შეტანას. ისინი ეშურებიან ერაყში მცხოვრები ირანელი დიდი აიათოლა სისტანისა და მის წრეზე ზეგავლენის მოპოვებას, რათა მან ირანის სახელმწიფო სისტემის დასაგმობი ფატვა მიიღოს. აიათოლა სისტანი იმთავითვე წინააღმდეგი იყო აიათოლა ჰომეინის მიერ შემოღებული სისტემის, რომლის მიხედვით საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება ღვთისმსახურთა მიერ კონტროლდება. აიათოლა სისტანის აზრით სამღვდელოება საერო ცხოვრებაში არ უნდა ერეოდეს. მაგრამ აიათოლა სისტანის ამის შესახებ საჯაროდ არასდროს განუცხადებია. განცხადება თავისთავად გამოიწვევს დაპირისპირებას ირანის საზოგადოებაში.

**ირანში ღრმად არის გამჯდარი პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი. აიათოლა ჰომეინიმ, რომელიც ღრმა ეროვნულ ნიადგზე იდგა დაამარცხა აშშ-ს მარიონეტი შაჰი. გაიმარჯვა ერაყის მიერ წამოწყებულ ომში, რომელშიც თავდავიწყებით ომობდნენ ეროვნულ დროშაში გახვეული მოლები. ნაციონალიზმი თვალშისაცემია ბირთვულ პროგრამაზე მუშაობისას.**

აშშ-ს პრეზიდენტის ობამას დამოკიდებულება ირანისადმი პრაგმატულია. მას სურს ირანის ჩართვა ავღანეთისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, თუმცა მოითხოვს, რომ ირანმა შეწყვიტოს ბირთვული კვლევის პროგრამა. ობამას სურს ირანის ხელისუფლებასთან დაიწყოს მოლაპარაკება და ამდენად ის თავს იკავებდა ირანში მიმდინარე პროცესების კომენტირებისგან, მიუხედავად იმისა, რომ სენატორები მისგან მოითხოვდნენ მკაცრ რეაგირებას. „მოვიცადოთ და ვნახოთ" — აცხადებდა ის. მაგრამ სენატორებმა თავისი გაიტანეს და აიძულეს ობამა გაეკეთებინა შემდეგი განცხადება: „თუ ირანის ხელისუფლებას სურს პატივისცემა ჰქონდეს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, მან უპირველესად უნდა დაიცვას საკუთარი ხალხის ღირსება და ქვეყანა მართოს ძალდატანების გარეშე". ობამას უმალ უპასუხა აჰმადინეჟადმა: „თუ აშშ-ს სურს ირანთან მეგობრობა თავი უნდა შეიკავოს ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან".

ობამა-მედვედევის შეხვედრაზე ირანის თემა ერთ-ერთი მთავარი იყო. ობამამ სთხოვა მედვედევს ამ საკითხში დახმარება. თუ რამდენად შეძლებს ამას კრემლი, ძნელი სათქმელია. ირანი მის ერთ-ერთ მყარ პარტნიორად მოიაზრება, რაც კრემლს აიძულებს შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

ინფორმაცია

## სად რთველი და სად... ინტერნეტი?!



**კახეთში მოწეული ყურძნის სარეალიზაციოდ მევენახეებისთვის სპეციალური ვებგვერდი შეიქმნება.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს კახეთის გუბერნატორმა გიორგი ღვინიაშვილმა განუცხადა, ამ დროისთვის კახეთის ყველა რაიონში მევენახეების საკონტაქტო ინფორმაციის შეგროვება ხდება, რომელიც შემდგომ ინტერნეტში სპეციალურ ვებგვერდზე განთავსდება.**

**მოცემული იქნება ყველა გლეხის საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე ცნობები იმის შესახებ რა ყურძენი აქვს თითოეულ მათგანს გასაყიდი. ყურძნის შესყიდვის ნებისმიერ მსურველს შეეძლება ინდივიდუალურად დაუკავშირდეს მევენახეს მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე, — განაცხადა ღვინიაშვილმა.**

**მისივე თქმით, წელს, კახეთში, გასულ წელთან შედარებით მეტ ყურძენს ელოდებიან. გუბერნატორის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, ყურძნის საერთო რაოდენობა 140 ათას ტონას გადააჭარბებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“...

# ნიკო ჩოჩელის სამხატვრო სკოლა ამერიკაში...

თბილისელი მხატვარი, ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული (დღეს უკვე საპატიო პროფესორიძ ნიკო ჩოჩელი სრულიად ახალგაზრდა, 27 წლისა ჩავიდა შეერთებულ შტატებში როგორც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული უცხოელი... ეს იყო 1995 წელს.

„მწვანე ბარათის“ (გრინ ქარდისძ მფლობელი ნიკო პენსილვანიის შტატის ერთ-ერთ ულამაზეს ბაქსის რაიონში („ბაქს ქაუნთში“ძ ქალაქ დოილესტაუნში დაამკვიდრეს და მალე იშვილეს კიდეც.

დღეს ნიკო ჩოჩელი უძღვება სამხატვრო სკოლას, აქვს საკუთარი სახელოსნო და... უკვე თოთხმეტი წელიწადია ამერიკელებს ანცვიფრებს თავისი ნატიფი, ინდივიდუალური შემოქმედებით, შრომისმოყვარეობით, მაღალი მოქალაქეობრივი კულტურით, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი ზრდილობითა და მოკრძალებით.

ამ რამდენიმე წლის წინათ პირველად შევხვდი თბილისში ორიოდე კვირით ჩამოსულ ნიკო ჩოჩელს (როგორც წესი, ის წელიწადში ერთხელ მაინც ბრუნდება მშობლიურ ქალაქშიძ და ჩემი მაშინდელი შთაბეჭდილება გულწრფელად გავუზიარე „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს. მაშინ ნიკო პირველად შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. პატრიარქს მოეწონა მისი ფერწერა და სამების საკათედრო ტაძრის მოხატვა სთხოვა (ერის სულიერ მამას ნიკომ ამერიკაში გამოცემული რამდენიმე კრებული უსახსოვრაძ. მაშინ საკათედრო ტაძრის მშენებლობა დამთავრებული არ იყო და ეს დიდი ეროვნული საქმე ცოტა ხნით გადაიდო.

ნიკოს ამერიკაში გამოუცეს რამდენიმე უნიკალური ალბომი. შეერთებული შტატების სხვადასხვა მუზეუმსა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოეწყო მისი ოცზე მეტი გამოფენა. ნიკოს შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი თემა რელიგიაა. სწორედ ღმერთი, ძველი და ახალი აღთქმა, ფსალმუნები, ქართველი წმინდანები, ბიბლიური სიბრძნის დეტალები აძლევს მას არა ოდენ ფიქრისა და განსჯის უნარს, არამედ ზღვა ენერგიასაც, რომ ტილოზე გადაიტანოს ეს ნაფიქრ-ნააზრევი.

ახლახან „ბაქს ქაუნთის“ მხატვართა გაერთიანების და პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის თავმჯდომარემ **ბარბარა დონლიმ,** პრეზიდენტმა **ჯონ სოფრონოფმა** და ჯილდოს მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარეებმა **ჯორჯ და ქეთი დონოვანებმა** ბაქსის ბიზნეს-ცენტრის გამგეობის სახელით ასეთი მიმართვა გაუგზავნეს ნიკო ჩოჩელს:

**„ძვირფასო ბატონო ჩოჩელი! — ჩვენი გამგეობის ჟიურიმ 2009 წლის „ბაქს ქაუნთის“ ხელოვნების პრემია და ღირსების ორდენი მოგანიჭათ თქვენ რაიონის კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ამ უმაღლეს ჯილდოს თქვენ ქალაქ აივილენდში მიიღებთ. როგორც ლაურეატს, ჯილდოს აღების შემდეგ ხუთწუთიანი სიტყვა მოგეთხოვებათ. გილოცავთ ამ აღიარებას და ყოველივე კარგს გისურვებთ“...**

ბუნებრივია, ეს ფაქტი მთელ ამერიკაში გახმაურდა. მალე ნიკო ჩოჩელმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრისგან ბატონ **პატრიკ მერფისგან** ასეთი გულითადი მილოცვა მიიღო:

**„ძვირფასო ნიკო! პირადად გილოცავთ „ბაქს ქაუნთის“ ხელოვნების ჯილდოს. შენი დიდი შესაძლებლობები და დაუღალავი შრომა კარგად აისახა შენს სამხატვრო სკოლაზე, რომელმაც მრავალ ამერიკელზე იქონია გავლენა. დიდებულია, რომ ეს ჯილდო ეძლევა ისეთ ღირსეულ, დამსახურებულ ადამიანს, როგორიც შენ ხარ...“**

ზე. **ბატონი ნიკო ჩოჩელი აღიარეს „ცენტრალ ბაქს ჩემბერ ოფ კომერსის“ საპატიო ლაურეატად და დააჯილდოვეს ღირსების ორდენით. კონკრეტულად კი ბატონი ჩოჩელი დაჯილდოვდა „დონ ვიტნის სამაგალითო ჯილდოთი ხელოვნების დარგში“.** ამ ყველაფერთან ერთად ბატონმა ჩოჩელმა ადრე მიიღო მრავალი საპატიო სიგელი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით (კონგრესი, თეთრი სახლიძ და პენსილვანიის შტატის მთავრობის სახლიდან. **მან გამოავლინა განსაკუთრებული ტალანტი და ოსტატობა ფერწერაში. მისმა ერთგულებამ ხელოვნებისადმი ღირსეული წვლილი შეიტანა ამერიკის მრავალმილიონიანი საზოგადოების კეთილდღეობაში. ჩვენ, ამერიკელებს გვეამაყება ნიკო ჩოჩელის წარმატებები.**

**გთხოვთ, აღიარების ეს წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიაწვდინოთ. მადლობას მოგახსენებთ ნიკო ჩოჩელის მიღწევებისა და ჯილდოს**


ქრისტეს სახება სამებაში (დეტალი)


ნიკო ჩოჩელი მუშაობისას

პენსილვანიის შტატის მთავრობის სახლიდან კი შტატის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **მარგარიტ ქვინმა** ოფიციალური მისალმება და თხოვნა გაუგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს ელჩს, ბატონ **ბათუ ქუთელიას:**

„ბატონო ქუთელია! — ამ წერილს გწერთ თქვენი თანამემამულის და ჩემი იურისდიქციის უბანში მცხოვრებ ნიკო ჩოჩელის გამო. როგორც ამ შტატის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პენსილვანიის მთავრობაში, მინდა თქვენი ყურადღება მოვაპყრო ბატონ ჩოჩელის მიერ ახლახან მიღებულ ჯილდოს **თქვენი ყურადღების ცენტრში მოქცევისთვის“.**

მარგარიტ ქვინის ამ წერილისთვის, ძვირფასო მკითხველო, არც ჩვენს ელჩს ბათუ ქუთელიას მიუქცევია ყურადღება, არც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და არც კულტურის მინისტრს ნიკა რურუას... არსაიდან ხმა, არსით ძახილი. ქართველი ფერმწერის (მერედა როგორი ოსტატის!ძ ამერიკულ გამარჯვებებს მის ბედკრულ საქართველოში ვერავინ გაიგებდა „საქართველოს რესპუბლიკა“ რომ არა.

აზრი არა აქვს იმის კონკრეტულ ძიებას, თუ სად „დაიკარგა“ წერილი და „ნაციონალების ელიტის“ რომელმა წარმომადგენელმა არ ისურვა მართლაც საამაყო მხატვრის ნიკო ჩოჩელის მოძიება-მოკითხვა და თუნდაც ტელეფონით შეხმიანება...

ნიკო ჩოჩელს დაჯილდოების ცერემონიაზე ასეთი რამ უთქვამს:

**„ჯილდოს მიღება იმ რაიონიდან, რომელმაც მე შვილივით მიმიღო, უდიდესი პატივია. ეს არის ჩემი ცხოვრების, ჩემი არსებობის, ჩემი შემოქმედების საუკეთესო აღიარება. მსგავსი სიხარული ჯერ არ განმიცდია. გმადლობთ, მშობლებო; გმადლობთ საქართველო; გმადლობთ, ამერიკა!..“**

* * *

ცხოვრობენ მარტო ბარნოვის ორმოცდამეოთხე (№44ძ სახლის პირველ სართულზე, მომცრო ბინა-მუზეუმში ნიკო ჩოჩელის ღვაწლმოსილი მხატვარი მშობლები, პროფესორი რობერტ ჩოჩელი და ქალბატონი ლეილა ჩოხელი...

ცხოვრობენ და ოკეანისგაღმა სახელმოხვეჭილი დედისერთა ბიჭის ჯანმრთელობაზე და საქართველოში დაბრუნებაზე ლოცულობენ...

ნიკოს ხომ სამების საკათედრო ტაძრის მოხატვისთვის გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა, და ალბათ, გამარჯვებაც მოელის...

**სპარტაკ ქობულია.**


საქართველო გაიმარჯვებს“ (ფერწერა)

◎ ინფორმაცია

## წირვა-ლოცვა უმრევლოდ...

**კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს არაერთი დაპირების მიუხედავად, გურჯაანში მდებარე ყოვლადწმინდა ღვითისმშობლის სახელობის ეკლესიის კარი მრევლისთვის ისევ დაკეტილია. ტაძარში წირვა-ლოცვა კი ტარდება, მაგრამ მას მხოლოდ მონასტერში მოღვაწე ბერები ესწრებიან.**

**როგორც ცნობილია, ეკლესიის წინამძღვარის თხოვნით, ტაძარში მრევლი მას შემდეგ აღარ დაიშვება, რაც ეკლესიის სახურავი დაზიანდა. დაზიანებული სახურავიდან აგურები ცვივა და ეკლესიაში მყოფთა სიცოცხლეს, შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს.**

**ეკლესიის ჭერიდან აგურების ჩამოვარდნა, სავარაუდოდ, კედლების გამოშრობამ გამოიწვია. ეკლესიას სასწრაფო სარეაბილიტაციო სამუშაოები სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, VIII-IX საუკუნეების უნიკალური ძეგლი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაზიანდეს, — განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დამცველმა თამაზ მარკოზაშვილმა.**

**გურჯაანის ყოვლადწმინდა ერთადერთი მოქმედი ორგუმბათიანი ტაძარია მსოფლიოს მასშტაბით მთელს ქრისტიანულ, მართლმადიდებულ სამყაროში.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# როგორ „შეიპარა“ მედვედევი ცხინვალში?...

**ორშაბათს რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მოულოდნელად ჩავიდა თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთში, სადაც რჩევები მისცა რუსეთის ახალ სამხედრო ბაზას და მოსახლეობას კი დაჰპირდა, რომ ქვეყანა აღიდგენს რუსეთსა და საქართველოს შორის შარშანდელი ხანმოკლე ომის დროს დანგრეულ სახლებს.**



ვიზიტმა ხაზი გაუსვა მწვავე აზრთა სხვადასხვაობას, რომლებიც შენარჩუნებულია რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის გასული კვირის პრეზიდენტების სამიტის შემდეგაც. ორმხრივ ურთიერთობათა „გადატვირთვის“ გამო საკითხები საქართველოს ორი სეპარატისტული ტერიტორიის – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შესახებ, რომლებიც ომის შემდეგ რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფება, აღმოჩნდნენ გადადებული.

გასულ კვირას მოსკოვში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ობამამ დაადასტურა თავისი „მტკიცე რწმენა, რომ საჭიროა დავიცვათ საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა“, აგრეთვე გამოთქვა იმედი, რომ რუსეთი და შეერთებული შტატები „მოაწესრიგებენ თავიანთ უთანხმოებებს საქართველოს საზღვრებთან დაკავშირებით“.

მაგრამ რუსეთი მხოლოდ ამყარებს თავის პლაცდარმს ამ ტერიტორიებზე და თავისი ვიზიტით სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში მედვედევმა დაადასტურა ეს ფაქტი. უფრო მოგვიანებით, ამაზე ზაფხულს, დაგეგმილია აფხაზეთში პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ვიზიტი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც თურქეთის დედაქალაქ ანკარაში მთავრობათაშორის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიაზე იმყოფება ნავთობსადენთან დაკავშირებით, ამ ვიზიტს „სამარცხვინო და ამორალური პრეცედენტი“ უწოდა რუსეთის დიპლომატიისათვის.

„როდესაც პატარა საქართველოს ლიდერმა დატოვა ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, დიდი რუსეთის პრეზიდენტი ჩუმად მიიპარება ერთ-ერთ ყველაზე პაწაწინა რეგიონში და პირადად ხვდება დაუბანელ და გამყიდველ დამნაშავეს და ადამიანთა მკვლელს“, – განაცხადა მან და მხედველობაში ჰყავდა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელი კოკოითი.

ელენ ბარი

The New York Times

# ვისთვის ილვრება მიშას ცრემლები?

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკმაყოფილოა ყაზახი ინვესტორებისა და განზრახული აქვს განიხილოს ეს საკითხი ყაზახეთის პრეზიდენტთან ნურსულთან ნაზარბაევთან. როგორც „ყაზტაგი“ იუწყება, ამის შესახებ საქართველოს ლიდერმა განაცხადა რეგიონებში თავის რწმუნებულებთან და რაიონების ადმინისტრაციების ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე.**



„სააკაშვილმა გამოთქვა უკმაყოფილება ზოგიერთი ყაზახური კომპანიის საქმიანობის გამო, რომლებიც არ დაუსახელებია. მაგრამ აღნიშნა, რომ პრეზიდენტების დონეზე შეთანხმების შემდეგ მათ მიიღეს „მწვანე შუქი“ და ფაქტობრივად დაიკავეს „განსაკუთრებული“ ადგილი საქართველოს სასასტუმრო და სამშენებლო სექტორში, – წერს „ყაზტაგი“. – კერძოდ, პრეზიდენტმა გააკრიტიკა „ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია“, რომელმაც შეისყიდა სანატორიუმი კურორტ ლიკანში (საუბარია „ყაზმუნაიგაზის“ კომპანია „ყმგ–სერვისზე – რედაქციაძ. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ინვესტორებმა ყაზახეთიდან „შეიძინეს“ მათი ლიკანი, დაანგრიეს, არაფერი არ გააკეთეს იქ და ბევრი ხალხი დატოვეს უმუშევრად“. მისი სიტყვებით, „ასევე წარუმატებელი იყო მათი პროექტები თბილისში, ხოლო ბათუმში სასტუმროების შეძენის დროს იქ მცხოვრებ ლტოლვილებს გადაუხადეს იმდენად მიზერული თანხა, რომ მათ ვერ შეძლებს ეყიდათ ბინები ნორმალურ ადგილებში“.

კომენტარებისათვის მივმართეთ „ყაზმუნაიგაზის“ პრესსამსახურს.

– შეთანხმების თანახმად, ჩვენ უნდა დაგვეწყო საქართველოში საინვესტიციო პროექტი, – განუცხადა გაზეთ „ვრემიას“ პრესამსახურის თანამშრომელმა ასკან ჯუმადილოვმა. – საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდა და ადაპტირებულ იქნა ქართული რეალიების შესაბამისად. ვინაიდან ყოველ ქვეყანას აქვს თავისი სტანდარტები. მაგრამ სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა. უახლოეს პერიოდში საკითხი გადაწყდება, რაც შეეხება პროექტებს ბათუმსა და თბილისში – ესაა ბი-თი-ეი ბანკის პროექტები.

– თუ სააკაშვილი მართლაც იჩივლებს ნაზარბაევთან, რა ზომებს მიიღებთ?

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ყაზახეთის და ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელობა, აგრეთვე ჩვენი აქციონერები.

– მაგრამ მთლიანად საქართველოს პრეზიდენტის შენიშვნები სამართლიანია?

– ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ვიყიდეთ ლიკანი და ვგეგმავდით იქ ჩვენი პროექტების რეალიზაციას. ბატონ სააკაშვილის სიტყვებს კი ჩვენ კომენტარებს არ გავუკეთებთ.

Время



# საქართველო და აფხაზეთი „ცხელი ხაზის“ შესახებ შეთანხმდნენ

**აფხაზეთის ქალაქ გალში გაიმართა აფხაზეთის, საქართველოს, რუსეთის ექსპერტების, აგრეთვე გაეროსა და ევროკავშირის მეთვალყურეთა პირველი შეხვედრა საქართველო – აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში ინციდენტების თავიდან აცილების საკითხებზე.** მოლაპარაკებამ აჩვენა, რომ თბილისსა და სოხუმს აქვს აზრთა სხვადასხვაობა თითქმის ყველა განსახილველ საკითხში. მხარეებმა შეძლეს მოლაპარაკება მხოლოდ „ცხელი ხაზის“ შექმნის შესახებ საზღვარზე ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.

„შეხვედრა გალში ძირეულად განსხვავდება იმ შეხვედრებისაგან, რომლებიც იმართებოდა 2006 წლამდე ეგრეთწოდებული რუსეთის სამშვიდობოების ბაზაზე, – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა. – ამ მომენტისათვის რუსეთი უკვე აღარ არის არც შუამავალი და არც მშვიდობისმყოფელი, არამედ არის მხარე კონფლიქტში, რაც დაფიქსირდა ჟენევაში დისკუსიის ფორმატით“.

„ჩვენ განვიხილეთ ინციდენტების თავიდან აცილება, – განმარტა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა. – იმ რაიონებში, რომლებიც ესაზღვრება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, დაიღუპა ათეულობით ქართველი პოლიციელი, ამიტომ ასეთი ინციდენტების თავიდან აცილების მექანიზმის მოწესრიგება ჩვენს ინტერესებშია“. ჩვენი მონაცემებით, საზღვარზე ინციდენტების თავიდან აცილების გარდა შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე გალის რაიონის ქართული მოსახლეობის უშიშროების შესაძლო გარანტიებიც და ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების საკითხიც. მაგრამ შეთანხმება მოხდა მხოლოდ „ცხელი ხაზის“ შექმნის შესახებ ინფორმაციების გაცვლასთან დაკავშირებით სასაზღვრო ზონაში სიტუაციების შესახებ.

ვარაუდობენ, რომ ხუთმხრივი შეთანხმება აფხაზეთის, საქართველოს, რუსეთის, გაეროს და ევროკავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართება ყოველ ორ კვირაში ერთხელ სამშაბათობით. მაგრამ გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების აფხაზეთის ტერიტორიაზე სტატუსის გაურკვევლობის გამო შემდეგი შეხვედრა, თუ ვიმსჯელებთ სერგეი შამბას გამონათქვამებით, შეიძლება არც შედგეს.

გიორგი დვალი

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**ობამას ადმინისტრაცია მზადაა გააუქმოს ტერორისტული საფრთხის ფერადი შკალა**

საშიშროების შეფასების სისტემა, რომელიც შედგება ხუთი საფეხურისაგან – მწვანიდან წითლამდე – გაჩნდა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ. ამ სქემას აკრიტიკებდნენ არასიზუსტისა და პოლიტიზირების გამო. ეროვნული უშიშროების მინისტრმა შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც ჩამოაყალიბებს ახალ სისტემას.

* * *

**ბელორუსიაში კრემლის „ჩვენებთან“ კონტაქტში იძმნება მოზარდთა მოძრაობა „ნორჩი ძერჟინსკელი“**

მინსკთან ახლოს უკვე გაიხსნა სამხედრო-პატრიოტული ბანაკი მოზარდებისათვის. მათ ელოდებათ მარშით სვლა, სროლები საბრძოლო იარაღით და წვრთნები სპეცნაზების ხელმძღვანელობით. ახალი მოძრაობა მხარს დაუჭერს „ჩვენებს“ და ბელორუსიის ახალგაზრდობის რესპუბლიკურ კავშირს. „ნორჩი ძერჟინსკელი“ შეიძლება გახდეს პიროვნება ექვსიდან თექვსმეტ წლამდე.



* * *

**არგენტინა გავიდა მსოფლიოში მეორე ადგილზე ღორის გრიპით დაავადებულ პიროვნებათა ლეტალური შედეგების მიხედვით**

ამ გრიპის მსხვერპლთა რიცხვმა ქვეყანაში მიაღწია 137 კაცს. დღეისათვის მექსიკაში, ოფიციალური მონაცემებით, ვირუსმა იმსხვერპლა 124 კაცის სიცოცხლე. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიღუპა 211 ავადმყოფი. არგენტინაში დაავადებულთა რიცხვი შეადგენს 3056 კაცს. თუმცა ჯანმრთელობის სამინისტრომ აღიარა, რომ ინფიცირებული შეიძლება იყოს 100 ათას კაცამდე.

* * *

**ბოლივიის პრეზიდენტმა ბრალი ჰონდურასში გადატრიალების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებს დასდო**

ევო მოლარესის სიტყვებით, „იმპერიამ“, როგორც მან უწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, შეცვალა კანონიერი პრეზიდენტი სელაია „სამხრეთი არმიული სარდლობის მეშვეობით“. ამავე დროს მოლარესი მიუთითებდა ინფორმაციის პირველწყაროებზე. „შეიძლება მე არ ვიცნობდე ობამას, მაგრამ იმპერიული ძალები ძალაში რჩება“, – დაუმატა ბოლივიის პრეზიდენტმა.

* * *

**ნიგერიელმა მეამბოხეებმა იარაღი გადადეს სამოცი დღით**

ასეთი ნაბიჯის გადადგმა „მდინარე ნიგერის დელტის გათავისუფლების მოძრაობა“ აიძულა უწინარეს ყოვლისა ამ მოძრაობის ლიდერის ჰენრი ოკახის ციხიდან გამოსვლამ. იგი გაათავისუფლეს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოცხადებული ამნისტიის შედეგად.



„ნოვაცია“

# წურბელები

## ვინ არის ნანა ჩიჩუა და ვისი რჩევა-რეკომენდაცია-მფარველობით შემოიტანა მან უამრავი გაზის მრიცხველი?

**ყოფილი მოქკავშირიც და მის მიერ ნასაზრდოები ნაცმოძრაობაც რომ სატანასთან არიან წილნაყარნი, დღეს ამაზე საუბარი გვიანია.**

შევარდნაძის ხელახალი ზეობის წლებში მოქკავშირელები ენერგიულად შეუდგნენ ფაბრიკა-ქარხნების ნგრევას. ჯართად გაყიდეს მილიარდებად ღირებული მოწყობილობა-დანადგარები. სოფლის მეურნეობაც ნაცარტუტად აქციეს. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბჭოთა მეურნეობების მოშლა-გაპარტახებაში. სარწყავი თუ სასმელი სისტემების მილებიც არ დაინდეს და ასი ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს ხელიდან გამოაცალეს სამუშაო, დაამშიეს, გააუბედურეს და ერთ მილიონამდე ადამიანი სამშობლოდან გააქციეს.

ფული და სიმდიდრე, ბობოლა მოქკავშირელების ხელთ აღმოჩნდა, მაგრამ მაშინდელ წვრილფეხობას ბევრი რომ არ ერგო, ეს ნაყარ-ნუყარა აღშფოთდა, აწრიალდა და იმ ნარჩენებიდან ნაციონალებად გარდასახული პარლამენტში შეიჭრა.

ჯერ იმ ბობოლა ძმებს დაერივნენ, დიდძალი ქონება რომ მოიხვეჭეს, ზოგმა მათგანმა თავს უშველა და გაიქცა, რაც დარჩათ, მყისიერად აითვისეს. პრეზიდენტად მოვლენილ სააკაშვილს მალე მიავიწყდა სამთავრობო სხდომებზე იმ ბობოლების სრა-სასახლეთა სურათებს რომ დააფრიალებდა და ახალ თავის ამქართან ერთად, მათზე მეტად გაჯირითდა.

ჰოდა, თუ რამ წინა ხელისუფალთ გადაურჩა, ის, რაც 70 წლის მანძილზე კომუნისტებს უშენებიათ, იმათ ლანძღვა-ძაგებაში პირწმინდად აითვისეს, უკანასკნელი ჭანჭიკიც გაყიდეს. ამჯერად ორჯერ მეტი ადამიანი დარჩა უმუშევარი. ნაციონალ მგლისმადიანებს კი ფული უნდათ. ცხადია, თუ არავინ მუშაობს, არც სოფლად და არც ქალაქად, დოვლათი არ დაგროვდება, ქვეყანაში ფული არ იქნება. ნაცებს კი დიდი ძალა აქვთ. აბა რესტორნებს ხომ არ დააცარიელებენ, ცოლ-შვილს ფუფუნებას ხომ არ მოაკლებენ, ჰოდა ისევ საკუთარ მოქალაქეებს ღრღნიან, წუწნიან, ლიმონივით გამოწურავენ, მაგრამ რაც არ არის, არარიო, ააფრინე ალალიო, — უთქვამს ხალხს.

როგორ თუ არ არიო, — აქოთქოთდნენ ნაცები, რომელთაც იშვიათი გამოგონებებისა და აღმოჩენების ნიჭი აქვთ, ეძებენ და რეზერვებსაც პოულობენ.

ერთმა მათგანმა ფულის კეთების ახალი წყაროც კი აღმოაჩინა: ახლახან რუსთავის საწარმოებს, რესტორნებს, კვების ობიექტებს მიადგნენ და სასტიკად გააფრთხილეს, გინდათ თუ არა გაზის მრიცხველები სასწრაფოდ უნდა გამოცვალოთო.

— კი, მაგრამ მრიცხველები, ისიც თქვენი დავალებით, ამ ცოტა ხნის წინათ არ გამოვცვალეთო?

— გაოგნებული მეპატრონეები უსასოოდ ასავსავებდნენ ხელებს.

— ხმა, კრინტი, რასაც გეუბნებით, დროზე გააკეთეთ თორემო... თანაც მისამართი მიაყოლეს: თბილისში, ელიავას ბაზრობაზე, ვინმე ქალბატონ ნანა ჩიჩუას ჯიხურებში 250 ლარად შეიძენთო (საინტერესოა, ამ ქალბატონს ვინ მისცა განაცხადი-შეკვეთა, რომ დიდი რაოდენობის და ასორტიმენტის მრიცხველები შემოეტანა. თუ ვერ გაყიდდა, ვინ მისცა ამის გარანტია, ამას ალბათ ლეიბორისტული პარტია თუ გაარკვევს).

— იქნებ სხვაგან უფრო იაფადააო.

— აბა, აბა, ეგეთები არ იყოსო, — ითქვა და...

**გივი ჯახუა**

*P. S. ამ ამბავმა ცხონებული ბებიაჩემი გამახსენა. ფეხები რომ დაუსივდებოდა, ზედ წურბელებს დაისვამდა. მერე წოვდნენ ეს წურბელები სისხლს, ისიც უვარგისს, მაგრამ ნაცებისგან განსხვავებით, რომ გაძღებოდნენ, თავისით ცვიოდნენ დაბლა.*

*ამათ მადას ჯერ საამისო არა ეტყობა რა. რა თქმა უნდა, მრიცხველების მანია მალე ჩაივლის. მერე რა იქნება? საინტერესოა, კიდევ რა აღმოჩენაზე იმტვრევენ თავს დიდმოხელე ჩინოვნიკები!*

*გ. ჯ.*

SOS!

# რათა მომავალ წელსაც წლევანდელივით „მშიერი“ ალოობა არ გვექნეს...

## გლეხები და ფერმერები მთავრობისგან დახმარებას ითხოვენ

**წლეულს დედოფლისწყაროში ალოობა ზარ-ზეიმით არ დაწყებულა, რადგან მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი შემოდგომა-ზამთრის გვალვებმა და შემდეგ მავნებელმა მწერებმა შეიწირეს.**

ტარიბანის და მწარე წყლის ტერიტორიაზე მოსავალი ან ძალიან დაბალია, ან საერთოდ არ არის. რაც შეეხება სხვა ტერიტორიებს, მათ შორის შირაქს — ერთ ჰექტარზე, ძირითადად, საშუალოდ 600 კგ ქერს და 700 კგ ხორბალს იღებენ, მაგრამ გამონაკლისი ნაკვეთები აქაც არის, სადაც კომბაინები საერთოდ ვერ შევიდნენ. ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ მოსავლის ნაწილი 27 ივნისს მოსულმა სეტყვამაც დააზარალა. უხვმოსავლიანობით არც მზესუმზირის და სიმინდის ნათესები გამოირჩევა.

დღეისათვის 1000 ჰექტარი ხორბლის და 3500 ჰექტარი ქერის ნათესი საერთოდ განადგურებულია „დილიჩისა“ და „ტარიბანის“ ტერიტორიაზე.

გლეხები და ფერმერები მთავრობისაგან დახმარებას ითხოვენ. საქმე ის არის, რომ მოსავალი არც მომავალ წელს იქნება, რადგან სათესლე ხორბლის დეფიციტის გამო შემოდგომაზე ხორბალს ველარავინ დათესავს, რაც ეკონომიურად დააზარალებს მოსახლეობას და რაიონის ბიუჯეტს.

დედოფლისწყაროელი ფერმერები მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავენ — თუ მთავრობა მათ სათესლე ხორბლის შემოტანაში დაეხმარება, მაშინ შესაძლებელი გახდება საშემოდგომო კულტურების დათესვა და მომავალი სამეურნეო წლისთვის გარანტიების შექმნა.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**


# შპს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს კონკურსს

## თბილისის სამგზავრო-სავაგონო ცენტრის შენობაში, სასადილოს მოწყობის მიზნით 42.65 კვ.მ ფართის დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები

- **საიჯარო ქონების მისამართი-** ქ. თბილისი, ასკურავას ქ. 31
- **იჯარით გასაცემი ფართი -** 42. 65 კვ.მ
- **საწყისი საიჯარო ქირა თვეში -** 30 ლარი (დღგ-ს-გარეშე)
- **„ბე“** — 30 ლარი
- **იჯარის ვადა -** 3 წელი

- **განაცხადების მიღების ადგილი - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციული შენობა, მე-4 სართული** ტელ: 56 33 48; 56 65 10
- **განაცხადების მიღების ვადა** - 2009 წლის 16 ივლისიდან 2009 წლის 29 ივლისის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე.
- **კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო** - მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი - 2009 წლის 30 ივლისი. ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციულ შენობაში 14:00 საათზე.
- **შპს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები** - „ბანკი რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, ა/ა№3407003205, ბანკის კოდი №220101757, საიდენტიფიკაციო კოდი №202886010.
- **კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ** - საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

**2. კონკურსის პირობები**

2. 1. მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.

2. 2. მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს, იჯარით აღებული ქონების მოვლა-პატრონობა, ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოების და სანიტარიული ნორმების დაცვა.

2. 3. იჯარით აღებულ ფართზე, კომუნალურ გადასახადებსა და დაცვის ხარჯებს იხდის მოიჯარე;

2. 4. ხელშეკრულების მოშლის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 7 ივნისის №1-1/875 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ“ დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომა. შპს „საქართველოს რკინიგზის“ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, რომ საწარმოს საკუთარი მიზნებისათვის ესაჭიროება საიჯარო ფართი, მოიჯარე ვალდებულია გაფრთხილებიდან 1 თვის ვადაში გაანთავისუფლოს აღნიშნული ფართი.

**3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები**

საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია: საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას.

**4. იჯარის ხელშეკრულების დადება**

4. 1. კონკურსის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს „საქართველოს რკინიგზასთან“ გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება.

4. 2. მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს „საქართველოს რკინიგზას“ წარუდგინოს ანგარიში, იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

4. 3. სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს, იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).

4. 4. თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე, შპს „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

**5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები**

5. 1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა, გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.

5. 2. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის მითითებით (დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე. ასეთი წინადადებები არ განიხილება).

5. 3. **„ბე“-ს გადახდის ქვითარი -** „ბე“ გადაიხდება შპს „საქართველოს რკინიგზის“ ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით.

5. 4. კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

5. 5. იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.

5. 6. კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

5. 7. კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.

5. 8. გადაწყვეტილება, კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. 9. კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

**6. შენიშვნები და დათქმები**

6. 1. მოიჯარეს გადახდილი „ბე“ ჩაეთვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბოლოო თვის ანგარიშსწორებისას.

6. 2. დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.

6. 3. განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.

6. 4. თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის, იმავე საათზე.

6. 5. მეიჯარეს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს მოიჯარის მიერ ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს „საქართველოს რკინიგზაში“**

**ტელ.: 56 33 48; 56 65 10;**

ოლიმპიური ფესტივალი

# ტამპერე უმასპინძლებს

**საქართველოს 38-წევრიანი სპორტული დელეგაცია გაემგზავრა ფინეთის ქალაქ ტამპერეში, სადაც 18-24 ივლისს ევროპის ახალგაზრდობის X ოლიმპიური ფესტივალი გაიმართება. ჩვენს ათლეტებს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში შეხვედრა მოუწყვეს და „ლოტოს“ ფირმის სპორტული ფორმები დაურიგეს.**



ოლიმპიური ფესტივალის მონაწილეებს გზა დაულოცეს სპორტის მინისტრმა ნიკა რურუამ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — დავით გოზეჯიშვილმა (სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტიძ, ნინო სალუქვაძემ და რევაზ მინდორაშვილმა.

აქვე მათს ვინაობას გაუწყებთ, ვინც გუშინ პირველად მოირგო ახალი ფორმები და ტამპერეში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს. ესენი არიან: ჩოგბურთელები — **ბარბარე ერისთავი, ანი გოგვაძე, ნიკა დოლიძე, ალექსანდრე დავლიანიძე** (მწვრთნელი **გაგა დოლიძე**ძ, სპორტულად ტანმოვარჯიშე **მიხეილ ხარაბაძე** (მწვრთნელი **ნიკოლოზ მიქელაძე**ძ, მძლეოსნები — **ლიკა ლოლუა, ბაჩანა ხორავა, ნიკა კარტავცევი, გიორგი ზილბერშტეინი** (მწვრთნელი **ანდრო ბედუკაძე**ძ, მოცურავეები — **დავით სიხარულიძე, ირაკლი შენგელია, ირაკლი ბოლქვაძე** (მწვრთნელი **გიორგი აზნიანიძე**ძ, ძიუდოისტები — **ვაჟა მარგველაშვილი** (50 კგძ, **ლუხუმ ჩხვიმიანი** (55ძ, **ბექა ტუღუში** (60ძ, **ირაკლი ლომიძე** (66ძ, **ბექა რატიანი** (73ძ, **ლევან რუაძე** (81ძ, **ალექსი მილდიანი** (90ძ, **როსტომ ხახალეიშვილი** (+90ძ, **ნონა მერაბიშვილი** (52ძ, **სოფიო ბერიძე, თეა სუხიტაშვილი** (70ძ, **ელენე ქებაძე** (+70ძ. მწვრთნელები — **ჯემალ ნათელაშვილი და გია თენაძე, მსაჯი ელგუჯა მურადაშვილი.** ადმინისტრაცია — **დავით გოზეჯიშვილი** (დელეგაციის ხელმძღვანელიძ, **ირაკლი სამყურაშვილი, გიორგი ესაკია, რუსუდან აფციაური, კახაბერ ბერიძე, გიორგი ბალათურია და ტატიანა წერეთელი.**

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ოლიმპიური ფესტივალის მონაწილეები კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და სეოკ-ის წარმომადგენლებთან.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ტყვიის სროლა

# ოცდაოთხი წლის შემდეგ

**ხორვატიის ქალაქ ოსიეკში დღეს დაიწყება და 19 ივლისს დამთავრდება ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატი. სპორტული პისტოლეტით პაექრობაში ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ლევან ქადაგიძეც მიიღებენ მონაწილეობას.** სალუქვაძემ წლეულს პნევმატური პისტოლეტით ასპარეზობისას ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი დაიმსახურა. საგულისხმოა ისიც, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზუსტად 24 წლის წინათ ოსიეკში საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში პირველად იასპარეზა კონტინენტის პირველობაზე ახალგაზრდებში და შინ ოქროს მედლით დაბრუნდა. იმედია, ამჯერადაც მეოთხედი საუკუნის წინანდელ შედეგს გაიმეორებს.



**სურათზე: ნინო სალუქვაძე**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ჩოგბურთი

# ბადეს სამი ქართველი შემორჩა



**ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დაიწყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თასის გათამაშება (საპრიზო ფონდი — 15 ათასი დოლარიძ, რომელშიც 16 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ.** ძირითად ბადეში 9 ქართველი მოხვდა, თუმცა პირველი წრის შემდეგ ტურნირს სამი ჩვენებურილა შემორჩა — გიორგი ცივაძე, გიორგი რევაზიშვილი და ლაზარე კუხალაშვილი. ცივაძემ და რევაზიშვილმა იტალიელები — მათეო მარფია (2:6, 6:4, 6:3ძ და ლორენცო ჯიუსტინო (7:6, 6:2ძ დაამარცხეს, ლაზარემ კი აზერბაიჯანელ ელჩინ ალიევს სძლია (6:1, 6:0ძ. ნოდარ ითონიშვილმა რუმინელ ბოგდან-ვიქტორ ლეონტესთან წააგო (4:6, 0:6ძ, დავით კვერნაძემ — პაველ კოტლიაროვთან (ბელარუსიძ — 3:6, 0:6, გიორგი ხრიკაძემ — შვედ ჰენრიკ ნორფელდთან — 1:6 (მეორე სეტი ტრავმის გამო არ უთამაშიაძ, ალექსანდრე თავხელიძემ — სომეხ ხაჩატურ ხაჩატრიანთან — 2:6, 2:6, დემეტრე თაქთაქიშვილმა — ტუნისელ მალეკ ჯაზირისთან — 0:6, 1:6, ხოლო ბექა ბუჩუკური ინგლისელ ჯეიმს ფივერთან დამარცხდა — 1:6, 2:6.

**გიორგი გაგუა**

ინტერნეტიდან

# რეკორდი ტემზაზე

**მოტოფრისტაილის ვარსკვლავმა, 27 წლის ავსტრალიელმა რობი მედისონმა ისტორიაში პირველად შეასრულა ურთულესი ტრიუკი ტემზაზე. ის მოტოციკლეტით გადაახტა გახსნილ ტაუერის ხიდს, 30 მეტრის სიმაღლეზე გააკეთა სალტო უკან ტრიალით, თან ჰაერში 23 მეტრზე იფრინა. ამ ნახტომის შესასრულებლად მედისონმა მოტოციკლეტი გააქანა საათში 60 კილომეტრი სიჩქარით, ის ხიდს მოწყდა მის ჩრდილო ნახევარზე, საჭეზე ხელმოუკიდებლად გააკეთა ბეკ-ფლიპი და წარმატებით დაეშვა სამხრეთ ნაწილზე.**




ახლა რობი მედისონის განზრახვაა, ასევე დაიპყროს ეგვიპტის პირამიდები და დიდი ჩინური კედელი.

„მინდა, მაქსიმუმამდე გავაფართოო სპორტის ამ სახეობის საზღვრები, აგრეთვე ჩემი ფიზიკური შესაძლებლობანი“, — განაცხადა მედისონმა.

ლას-ვეგასში ავსტრალიელი მოტოციკლეტით აფრინდა ტრიუმფალური თაღის ასლზე, შემდეგ კი ჩამოხტა ძირს. ის ასევე პირველი გადაახტა ფეხბურთის მინდორს და ბევრ სხვას.

რეტრო

# სცენაზე „აჩრდილები“ არიან

**იყო დრო, როცა თქვენმა პატივცემულმა გაზეთმა ხანგრძლივ მივლინებაში გამგზავნა. ამ დროს კი თურმე ქურდები მეწვივნენ. რაც არ იყო, რას წაიღებდნენ! მხოლოდ ერთი შესანიშნავი მაგნიტოფონი მქონდა, ისიც, ცხადია, ხელს გააყოლეს და ძალზე უკმაყოფილონი, ბუზღუნით ან გინებით საკუთარ გზას დაადგნენ. ისე კი შეეძლოთ, ყურადღება მიექციათ ისტორიული დავთრებისთვის: „კასპაროვი თეთრებით, „კასპაროვი შავებით“, „კარპოვი თეთრებით, „კარპოვი შავებით“, სადაც ამ დიდი, იმ დროისათვის სასტიკად გადამტერებული მოჭადრაკეების ყველა პარტია თუ სატურნირო ცხრილი იყო თავმოყრილი. რა ჭირად გვინდაო, ხომ იფიქრებდნენ.**

რას წარმოვიდგენდი, რომ მრავალი წლის შემდეგ ეს დავთრები კვლავ დამჭირდებოდა.

რატომ დამჭირდა?

აი რატომ! ძალიან გამახარა ესპანურ პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობამ, რომ ვალენსიაში გაიმართება მატჩი მსოფლიოს მე-12 ჩემპიონ ანატოლი კარპოვსა და მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვს შორის. იგი სექტემბერში მოეწყობა, მაგრამ მთლიანად „ჩეულებრივი“ არ იქნება, ისეთი, როგორც მათ უკვე არაერთხელ გაითამაშეს. ორთაბრძოლა სულ ოთხ დღეს გასტანს (21-24 სექტემბერსძ, ამასთან ოთხი სწრაფი პარტიისგან შედგება (სადაც მოჭადრაკეს სვლების მოსაფიქრებლად სულ 25 წუთი ერგებაძ, დანარჩენი 8 შეხვედრა კი ელვისებური (სულ 5-5 წუთი თითოეულსძ იქნება. ცხადია, ესეც მეტად საინტერესოა. ამასთან, რახან ესპანელებს „გაახსენდათ“ წარსულის ეს კორიფეები, ისიც ვთქვათ, რატომ ვუწოდებთ მათ „აჩრდილებს“.



საქმე ის არის, რომ კასპაროვმა 2005 წელს ოფიციალურად დაანება თავი ჭადრაკს, თუმცა მსოფლიოს რეიტინგ-ლისტში პირველ ადგილზე იყო. ამის შემდეგ იგი, თუ სადმე მაინც თამაშობს, ეს ან ინტერნეტ-საიტია, ან, უბრალოდ, ელვისებური პარტია. ასეთებს ჭადრაკის სტატისტიკა არ ითვლის. მას შემდეგ, რაც წარსულის ამ შეუდარებელმა მებრძოლმა ასპარეზი ახალ „დიდ სამეულს“ (ანანდი, ტოპალოვი, კრამნიკიძ დაუთმო, თვითონ მთლიანად პოლიტიკაში გადაერთო და ერთ-ერთი თვალსაჩინო ოპოზიციური მოღვაწე გახდა, რუსეთის „დემოკრატიულ ფრონტს“ ხელმძღვანელობს. ახლა იგი უყვარს ყველას, ვისაც არ უყვარს... პუტინი! როცა ამას წინათ პრეზიდენტ ობამას რუსეთის ოპოზიციური პარტიების ლიდერები შეხვდნენ, ობამამ უთხრა კიდეც კასპაროვს, მე თქვენ იმ დროიდან გიცნობთ, როცა 15 წლისა იყავითო. გარი ადრე დააპატიმრეს კიდეც, თუმცა მცირე ხნით. საინტერესოა, რომ ციხეში იგი მოინახულა... კარპოვმა, მისმა მარადიულმა მტერმა.

კასპაროვისგან განსხვავებით, კარპოვი ჯერ კიდევ თამაშობს ჭადრაკს, თუმცა უწინდელთან შედარებით, მართლაც „აჩრდილია“. აბა სხვა რა უნდა ვთქვათ, როცა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს თანამედროვეობის უძლიერეს დიდოსტატთა რიცხვში 98-ე ადგილი უჭირავს. თავის დროზე იგი ბრეჟნევის საყვარელი მოჭადრაკე იყო. სწორედ მას უთხრა ბრეჟნევმა ისტორიული სიტყვები: „რაკი საჭადრაკო გვირგვინი მოირგე, შეინარჩუნე კიდეც, არავის დაუთმო“. რომ ვერ შეინარჩუნა?!

ახლა კი სწორედ იმ საჭადრაკო დავთრებს დავუბრუნდეთ, მოულოდნელად რომ გამომადგა. მათგან ირკვევა, რომ ამ ორ კორიფეს ერთმანეთთან 167 პარტია უთამაშიათ, დროის სრული კონტროლით, ისეთივეთი, როგორც დღესაა. აქ კასპაროვის უპირატესობა თვალსაჩინოა: 28 მოგება, 20 წაგება, 119 ყაიმი. სულ გამოვიდა 167 პარტია, რაც სარეკორდო რიცხვია. სწრაფი პარტიების რიცხვი დიდი არ არის, თანაც ანგარიში თანაბარია — ორორი მოგება, ოთხი ყაიმი. ამას დავუმატოთ ყაიმით დამთავრებული სამი ელვისებური პარტიაც.

მაშ ასე...

**გივი გამრეკელი**

ფეხბურთი

# რამდენს ღებულობენ მსოფლიო ვარსკვლავები

**სხვის ჯიბეში ჩახედვას მაინც და მაინც კარგ საქციელად არ მიიჩნევენ, მაგრამ ჩვენი მკითხველების ინტერესის დასაკმაყოფილებლად მაინც ასეთ ნაბიჯს ვდგამთ და ვაზუსტებთ, თუ გულშემატკივრებისთვის საყვარელი რომელი ფეხბურთელი ხელფასის სახით რამდენს ღებულობს წელიწადში.**



აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში თავისი მოცულობით გიგანტური ნაბიჯები გააკეთა ფეხბურთელთა სატრანსფერო ღირებულებამ და, აქედან გამომდინარე, მათმა ხელფასმაც. მაგალითად, კრიშტიანუ რონალდუ მადრიდის სამეფო კლუბმა 80 ათას გირვანქად იყიდა „მანჩესტერ იუნაიტედიდან“, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ლეგენდარული პაოლო მალდინი, 25 წელი „მილანში“ რომ თამაშობდა, დიდხანს მისი კაპიტანიც კი იყო და თავისი გუნდის ერთგულების სანიმუშო მაგალითს იძლეოდა, გაცილებით ნაკლებ ხელფასს ღებულობდა, ვიდრე, ვთქვათ, გვიან შეძენილი ფეხბურთელები, კაკა, ამას წინათ ესპანურ „რეალში“ რომ გადავიდა.

ყოველწლიური ხელფასით (ევროპაში ძარაოფიციალურ რეიტინგში პირველი სწორედ **კრიშტიანუ რონალდუა** — 10,5 მილიონი, შემდეგ მოდიან **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** („ინტერი“ძ — 9,5 მლნ., **კაკა** („რეალი“ძ — 9,3 მლნ., **ლუკა ტონი** („ბავარია“ძ — 8,5 მლნ., **ფრენკ ლემპარდი** („ჩელსი“ძ — 8,2 მლნ., **ლეონელ მესი** („ბარსელონა“ძ — 8 მლნ., **ხავი ერნანდესი** („ბარსელონა“ძ — 7,5 მლნ., **ანდრეი შევჩენკო** („მილანი“ძ — 6,6 მლნ., **უეინ რუნი** („მანჩესტერ იუნაიტედი“ძ — 6,2 მლნ., **სტივენ ჯერარდი** („ლივერპული“ძ — 6,4 მლნ., **რონალდინიუ** („მილანი“ძ — 6 მლნ. და ა. შ.

კურიოზები, წკიპურტები, მიქარვები

# სტალინური ლეგენდები

**ეს ის დრო იყო, სტალინის დავალებით თბილისში სხვადასხვა ექსპრომპრიაცები რომ ხორციელდებოდა. ერთი ასეთი ვინმე ივანიანს უნდა შეესრულებინა. გააკეთა კიდეც, იფიქრა, ფული რაღა მაგათ ჩავაბარო, და, გადაიკარგა.**

სტალინი საქართველოში მრავალ წელს აღარ ჩამოსულა. ივანიანი გამოჩნდა, მისი თავგადასავალი არავინ იცოდა არხეინად ცხოვრობდა. საქართველოს თავისუფლების 1005 დღეც გავიდა.

და აი, სტალინი საქართველოში კვლავ ჩამოვიდა. მის საპატივსაცემოდ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ძველი ბოლშევიკები დაამწკრივა. ბელადმა მათ ჩამოუარა, ზოგს მეგობრულად გაეხუმრა, ძველი ამბები მოაგონა, ზოგს უბრალოდ ხელი ჩამოართვა. შემდეგ ერთი წამით შეჩერდა, სახე მოეღუშა და თუმცა ყვირილი არ უყვარდა, თავი ველარ შეიკავა.

— ფული? სად არის ფული?

მის წინაშე ხომ ის, უბედურ დღეზე დაბადებული ივანიანი იდგა.

ყველა სახტად დარჩა. სტალინმა რომ ჩაიარა, მისი მასპინძლები, უნდოდათ თუ არ უნდოდათ, საკითხში მალე, ოპერატიულად გაერკვნენ...

* * *

**სტალინს ძალიან უყვარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში სიარული. ბევრჯერ უნახავს და ძალიან მოსწონდა მიხეილ ბულგაკოვის „ტურბინების დღეები“. ის კი ამბობდა, რომ პიესის კოლოსალური წარმატებაში თვით ავტორის როლი ნაკლებად არისო (მაშ ვისი როლი იყო უფრო მნიშვნელოვანი?!ძ.**

პიესის ანტრაქტებისას (ისინი იმდენ ხანს გრძელდებოდა, რამდენიც ბელადს სურდაძ სტალინი თეატრის მესვეურ სტანისლავსკისთან იჯდა, ღვინოს შეექცეოდა და მეგობრულად ესაუბრებოდა.

— კონსტანტინ სერგეევიჩ! ალბათ ძალიან გაწუხებთ ის მედავითნეები თეატრის სარეპერტუარო განყოფილებიდან, ვინ იცის,



როგორ „იდეურ“ პიესებს არ გვთავაზობენ!

სტანისლავსკი კი იყო შეჩვეული სტალინის ლაპარაკის სტილს, მაგრამ მაინც თქვა:

— წყნარად, ამხანაგო სტალინ, ყველგან გე-პეუ გვისმენს. მეტი კურიოზი რაღა გინდათ:

* * *

**აკადემიკოსი ნიკო მარი (სხვათა შორის, იგი პარტიის წევრიც იყოძ კი გარდაიცვალა, მაგრამ სტალინს გულში ჩაჰყვა წყენა. დიდმა მეცნიერმა ხომ ერთხელ თქვა: ამოდენა ქვეყნის ხელმძღვანელს თურმე ენათმეცნიერების საკითხებიც აინტერესებსო, აქ ბელადმა გარკვეული ირონიაც დაინახა.**

ერთხელ, როცა სტალინმა აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა მიიწვია, რომელსაც დიდ პატივს სცემდა, ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, რომელი მეცნიერები არ ეთანხმებიან ნიკო მარის თეორიას?

ჩიქობავამ ორი სომეხი მეცნიერი დაასახელა.

შემდგომი ამბები მეტად საინტერესო გამოდგა.

ღამის სამი საათი იყო, როცა სტალინმა ერევანში დარეკა. ეს მან პირველად და უკანასკნელად ქნა.

— ამხანაგო არუთინოვ!

ეს ყოფილი თბილისელი ხომ სომხეთის კომპარტიის პირველ მდივნად მუშაობდა. ღამ-ღამობით არ ეძინა, ხომ შეეძლო სტალინს დაერეკა. სხვა პარტიული ხელმძღვანელებიც, ცხადია, ფხიზლობდნენ. ახლა კი, ცხადია, იფიქრა, დავიღუპეო.

— გისმენთ, ამხანაგო სტალინ!

ეს ბელადისადმი მიმართვის ერთადერთი ფორმა იყო. მხოლოდ ვოროშილოვი თუ უწოდებდა ხანდახან კობას, ცხადია, არ იცოდა, ეს „კობა“ ვინ იყო. ილიკო სუხიშვილი კი „ძია სოსოს“ ეძახდა, ისე, რაიმე განსაკუთრებული რისკის გარეშე.

— მე მაინტერესებს, სად საქმიანობენ ახლა ეს ამხანაგები (და იმ სომეხი მეცნიერების გვარები დაასახელა, რომლებიც ჩიქობავასაგან შეიტყოძ.

— ასე ერთბაშად ვერ მოგახსენებთ, ისე კი უსწრაფესად შეგატყობინებთ.

— ისინი რა, ბუღალტრები არიან, რომ მათი ასავალ-დასავალი არ იცით, ამ ორი განთქმული მეცნიერისა.

აი ახლა კი არუთინოვმა იგრძნო სიკვდილის ანგელოზის მოახლოება!

გამოირკვა, მაგრამ რა გამოირკვა! ნიკო მარის რისხვა რომ დაატყდათ თავს, ორივე მეცნიერი დაანიავეს: ერთი მაღაზიის გუშაგად მუშაობდა, ღამით ტყარუჭს იცავმდა, რადგან ერევანში დიდი სიცივეები იცის, მეორე კი ექსპედიტორი იყო, სურსათი მანქანით აქეთ-იქით გადაჰქონდა.

მეორე დილით ერთი ეს მეცნიერი უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს, მეორე კი აკადემიის პრეზიდენტად!

**გივი გამრეკელი**

ტრაგედია

# ავიაკატასტროფა ირანის ცაში

**15 ივლისს, ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა, რომელშიც 150 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა. ირანული ავიაკომპანია Caspian Airlains-ის კუთვნილი თვითმფრინავი ტუ-154 7908 რეისით თეირანიდან ერევანში მიფრინავდა.**

**თვითმფრინავის ბორტზე საქართველოს და სომხეთის მოქალაქეები იმყოფებოდნენ. ავიაკატასტროფის შედეგად ირანში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მეუღლე ნათელა ნიკოლავა და სომხეთში საქართველოს საელჩოს ფინანსური მენეჯერი გივი ჭკადუა დაიღუპნენ.**

**ბორტზე მყოფი 168-ვე მგზავრი დაღუპულია.**



**ჯი-ეიჩ-ენი**

ხელოვნება

# გივი მჭედლიძე



დაიბადა 1932 წლის 25 ოქტომბერს თბილისში, დასტაქრების ოჯახში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლა. 1955-1959 წლებში სწავლობდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე. მაგრამ მამამისი ქირურგი მიხეილ მჭედლიძე გრძნობდა, რომ ინჟინრობა შვილის მოწოდება არ იყო და გადაწყვიტა იგი თავის მეგობარ კომპოზიტორთან ნიკოლოზ შარაბიძესთან მიეყვანა. ნიკოლოზ შარაბიძე აღფრთოვანებული დარჩა მისი მუსიკალური მონაცემებით და ორ წელიწადში შეასწავლა სანოტო ანბანი, საშუალო მუსიკალური სკოლის და ტექნიკუმის პროგრამის სრული კურსი. ამის შემდეგ, 1960-65 წლებში გივი მჭედლიძემ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული საწარმოო პრაქტიკული კურსები გაიარა კომპოზიტორ იონა ტუსკიას ხელმძღვანელობით. 1964 წელს კი ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები კონსერვატორიაში და ჩაირიცხა საკომპოზიტორო ფაკულტეტზე, საქართველოს სახალხო არტისტ, პროფესორ დავით თორაძის კლასში, რომელიც 1971 წელს დაამთავრა. კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში მან დაწერა რიგი ინსტრუმენტალური პიესებისა — ვიოლინოს, ფლეიტის, ჰობოისა და საყვირისათვის, ერთნაწილიანი სონატა ვიოლინოსათვის. დიდი სიყვარულითა და რუდუნებით დაამუშავა სოლო და საგუნდო ხალხური სიმღერები. შეისწავლა ქართული ხალხური კლასიკური მუსიკა. მასზე კეთილშობილური გავლენა მოახდინა კომპოზიტორ შალვა შველიძის შემოქმედებამ. გივი მჭედლიძის სიმღერების ციკლი ტენორის და სიმფონიური ორკესტრისთვის საერთო სახელწოდებით „ფშავური ჩანაწერები“ (რომელიც შეასრულა ოპერის სოლისტმა თენგიზ ზაალიშვილმაძ დაწერილია დიდი შთაგონებით. მასში მძაფრად იგრძნობა ფშავური ხალხური მუსიკის კილოკავები, მოხვევები, ინტონაციები.

კონსერვატორიაში სწავლის პარალელურად გივი მჭედლიძე 1969 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და დოკუმენტური ფილმების მთავარ მუსიკალურ რედაქტორად. ამ პერიოდის დოკუმენტური ფილმების სრულყოფაში დიდი როლი შეასრულა მისმა ნიჭმა და განათლებამ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ დაწერილი ორიგინალური მუსიკა რეჟისორ კონსტანტინე კერესელიძის სრულმეტრაჟიანი ფილმებისათვის „პარტიული ხელმძღვანელობის ინსტრუმენტი“, „ალავერდობა“, „ნიკორწმინდა“. აქედან ბოლო ორი შენახულია ნიუ-იორკის მუსიკალურ არქივში. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოებები ასევე ნახატი და მულტიპლიკაციური ფილმებისთვის, რეჟისორ სოსო სამსონაძესთან ერთად, რევაზ ინანიშვილის სცენარით და სულხან-საბა ორბელიანის იგავებზე.

გია ჭუბაბრია,
*კინორეჟისორი, პროფესორი.*

# აკაკი გოგიშვილი

ჩვენს რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო მეცნიერი-ბიოქიმიკოსი, აკად. მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის ბიოქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი აკაკი გოგიშვილი.

დავკარგეთ შესანიშნავი სპეციალისტი, დაუღალავი, შეუპოვარი, გულწრფელი და კეთილშობილი პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა თეორიული და პრაქტიკული ბიოქიმიური კვლევის სრულყოფისა და განვითარების საქმეს. მისი სამეცნიერო შრომები, რომლებიც კარდიოპათოლოგიის ბიოქიმიური ასპექტების შესწავლას ეძღვნებოდა, ყოველთვის გამოირჩეოდა დასახული მიზნებისადმი პუნქტუალური, პასუხისმგებლური და ინტელექტუალური მიდგომით, ხოლო მისი პრაქტიკული საქმიანობა — ავადმყოფთა მიმართ დიდი თანადგომითა და გულისხმიერებით.



ბატონი აკაკი იყო უკეთილშობილესი ადამიანი, ერთგული მეგობარი, მზრუნველი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და პაპა.

ინსტიტუტში მრავალი წლის ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად მან მთელი კოლექტივის დამსახურებული პატივისცემა და დიდი სიყვარული დაიმსახურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი აკაკის დაუზარელი, უანგარო და კეთილი დამოკიდებულება იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც მისი პროფესიონალური დახმარება ესაჭიროებოდათ. ასეთ შემთხვევაში ის ჭეშმარიტ ქველმოქმედად გვევლინებოდა.

სწორედ ამიტომ დაგვწყვიტა გული ბატონი აკაკის უდროო გარდაცვალებამ — მის ოჯახს, სანათესაოს, მეგობრებს, კოლეგებს და დაგვიტოვა ნათელი ხსოვნა სიცოცხლით სავსე, ხალისიანი და ვაჟკაცური შემართების ადამიანისა.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა, ღმერთმა მარადიულ სასუფეველში დაამკვიდროს მისი კეთილი, კაცთმოყვარე, კეთილშობილი სული.

აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის
კარდიოლოგიის ინსტიტუტის კოლექტივი

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალნენ საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტის“ მონაწილეები, აფხაზეთიდან დევნილები

ნათია ჩხეიძე და დავით პირველი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---



საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი შემოქმედი, ცნობილი მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მინა-კერამიკის კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი

თეიმურაზ (თენგიზძ გიგაური

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. პანაშვიდი 15 VII, 16 სთ. გამოსვენება 16 VII, 15 სთ.

---

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანის ქალიშვილის

ხათუნა ჩანქსელიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ლამა აბაშიძე, ვახტანგ და ნანა შამილაძეები, დათო დუმბაძე თანაუგრძნობენ ნინო თამაზაშვილსა და დაიანა ჭყონიას მეუღლისა და მამის

თემურ ჭყონიას

გარდაცვალების გამო

---

ლამა აბაშიძე, ვახტანგ და ნანა შამილაძეები, დათო დუმბაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ ჭყონია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ლამა აბაშიძე, ვახტანგ და ნანა შამილაძეები, დავით დუმბაძე თანაუგრძნობენ ლეილა აბაშიძისა და ნოდარ თამაზაშვილის ოჯახს სიძის

თემურ ჭყონიას

გარდაცვალების გამო.

---

ოჯახი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ტუსა დიასამიძე-ბარნოვი

პანაშვიდი 16, 17 VII, 18 სთ. დაკრძალვა 18 VII, 17 სთ. მისამართი: ბაზალეთის ქ. №9.

---

შპს „ნაზელლავის“ (ს/კ 215103064ძ მიერ შესრულებული იქნა საწარმოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა. დაკმაყოფილებულია საწარმოს ყველა კრედიტორი, ამჟამად საწარმოო ექვემდებარება ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: **ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. №4.**
**ტელ 899 35-01-69.**

### სულიერება

# გერგეტის სამება



**16 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია გერგეტობას დღესასწაულობს.**

...სულ რამდენიმე წელიწადია, რაც დაწესდა ყოვლადწმინდა სამების კიდევ ერთი დღესასწაული – სიყვარულის დღე. წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ღმერთი არის სიყვარული!“

...და მართლაც ყველაფერში ვლინდება, რომ ღმერთი არის სიყვარული, ღვთაებრივი სიყვარული ვლინდება ადამიანებს შორის და ზოგადად დედამიწაზე.

სრულიად საქართველოს შეეწიოს წმინდა სამების მადლი!

**გიული ლიპარტია**

### ინფორმაცია

# ქართულ ენას კრძალავენ

**გალის რაიონის სკოლებში საგანგაშო ვითარებაა.**

**აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით, ქართულად სწავლების აღკვეთის მიზნით, რაიონის სკოლების ქართველ პედაგოგებზე ზეწოლა ყოველდღიურად ხორციელდება.**



**აღნიშნულ კონტექსტში, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციებს დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს და ქართველი პედაგოგების უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვას სთხოვს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ახალი მისამართია: გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიასძ ქ. №19. ტელ: 99-62-77.

გაზეთის შემდეგიი ნომერი გამოვა შაბათს 18 ივლისს

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### დაიჯესტი

## დანაშაული და სასჯელი

**ოჰაიოს შტატის ქალაქ სტრონგსვილში ათი წლის დენი ყველას უყვარდა. გამვლელები საგანგებოდ ჩერდებოდნენ მასთან „სასაუბროდ“, მძღოლები კი განსაკუთრებულად ყურადღებით იყვნენ, როცა იმ ქუჩებზე მოძრაობდნენ, სადაც დენის სეირნობა უყვარდა და ყოველთვის უთმობდნენ გზას, მაგრამ...**



20 წლის რობერტ იარსკი ასე არ მოიქცა და ულამაზესი პეკინური მამალი კვატა მანქანით გასრისა. სასამართლოში, სადაც მას ფრინველის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს, მან თავი დამნაშავედ არ ცნო. მაგრამ, ქალაქის მერის უოლტერ ერნფელტის აზრით, იარსკიმ დენი განგებ გასრისა, ვინაიდან ჩადენილი არ მოინანია.

სასამართლომ იარსკი 800 დოლარით დააჯარიმა, ხოლო განაჩენის მეორე ნაწილისთვის შესაფერისი იურიდიული ტერმინის გამოძებნა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. დამნაშავე ვალდებული იყო დაეზუთხა წიგნი იხვების შესახებ და კვირაში ორი დღე გაეტარებინა ფერმაში, სადაც შინაურ ცხოველებს აშენებენ. მერის განკარგულებით იარსკის დენის პატრონისთვის ახალი მამალი კვატა უნდა ეყიდა, გაეწვრთნა იგი და გზაზე გადასვლა ესწავლებინა.

რაც ოცი წლის ბრიყვმა შეასრულა კიდეც.

## რა ღირს თიხის მჭადი?

**იმ უცნაურ ხალხს, ვისაც ქვანახშირის, ბათქაშის, ცარცისა და ნაცრის „დაჭაშნიკება“ უყვარს, მრავალ ევროპულ ენაზე „პიკას“ ეძახიან, რაც კაჭკაჭის ლათინური სახელწოდებიდან მოდის,**



**რომელიც ყველაფერს ცნობისმოყვარეობის გამო ეტანება. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის განსაკუთრებული პიკების – გეოფაგების შესახებ, არადა დედამიწაზე მილიონობით ადამიანია, ვის რაციონში დიდი ადგილი უკავია.... მიწას.**

საინტერესოა, თუკი ეს ჩვეულება ასე გავრცელებულია, რატომ არის, რომ მის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი? განა ეს ასეთი სამარცხვინოა? მაგალითად, ორანგუტანგები სპეციალურად ეძებენ და მერე მადიანად მიირთმევენ



კალიუმით და ნატრიუმით მდიდარ მიწას, მაგრამ XXI საუკუნის ადამიანს განა ეკადრება მიწის ჭამა?

თუმცა ყველაფერს შეიძლება სხვა მხრივაც შევხედოთ.

დასავლეთ აფრიკაში, სადაც გეოფაგია ყველაზე მეტადაა გავრცელებული, კვების ამ პროდუქტს მასობრივად აწარმოებენ. მაგალითად, განაში ათასობით მუშა მოიპოვებს მყარ თიხას, შემდეგ მას ნაყავს, ცრის და წყალსა და ცომს ურევს, პატარა „მჭადებს“ აცხობს შემდეგ ბაზარში ყიდის, სადაც დახლებზე ყოველთვის 5-6 ასორტიმენტის პროდუქციაა დასავლეთ აფრიკის სხვადასხვა რაიონიდან.

გეოფაგების შესახებ მრავალი თქმულებაა სხვადასხვა ქვეყნის ფოლკლორში. ძველ სამარხებში, ყველაფერ იმასთან ერთად, რაც კაცს საიქიოში შეიძლება გამოდგომოდა, არქეოლოგებს არაერთხელ უნახავთ საჭმელი თიხით სავსე ჭურჭლები. მიწას ოდითგანვე ანიჭებდნენ ჯადოსნურ და სამკურნალო თვისებებს. ძველი ბერძნები კუჭის და გულის ტკივილებს ქურუმების მიერ ნაკურთხი მიწით მკურნალობდნენ. ჩვენ დროში კი კათოლიკე მღვდლები ჯვრის ანაბეჭდიან თიხის ფირფიტებს აკურთხებენ, რომლებსაც შემდგომ მიირთმევენ გვატემალის ქალაქ ესკიპულასში ჩასული მომლოცველები. მოუსავლიან წლებში კი პერუელი და ბოლივიელი გლეხები იძულებულნი არიან იკვებონ შხამიანი ნაყოფებით, რომლებსაც შხამსაწინააღმდეგო თეთრი თიხის პასტას აყოლებენ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ კაოლინი, რომელიც თიხაშია, მეტად სასარგებლოა კუჭის მკურნალობისას.

## მწვანე მაინც ყველაზე ლამაზია



**სულაც არ არის აუცილებელი, რომ ბალახი მაინცდამაინც მწვანე ფერისა იყოს.** ეს დასკვნა გამოიტანეს ლოს ანჯელესის ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა, რომლებმაც შეძლეს მეწამული, ცისფერი, ყვითელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოლიანი ბალახის ჯიშების გამოყვანაც კი. თვითმხილველთა თქმით, მაინც ყველაზე ლამაზია „მელიკა ნუტენსის“ ჯიშის ყვავილების მსგავსი ხასხასა წითელი გვირგვინიანი მწვანე ბალახი.

**უცხოური პრესის მიხედვით**

### ანეკდოტები

ახალი ქართველი ნოტარიუსს თავის ანდერძს უკარნახებს:

– ჩემს მესამე ცოლს ვუტოვებ ვილას ბერმუდზე, ჩემს ოჯახის ექიმს – 100 ათას დოლარს, დისწულს – ჩემს „შესსოტკა“ „მერსედესს“, ჩემს ვაჟს კი, რომელიც მიიჩნევს, რომ მთავარი სიმდიდრე პატიოსანი შრომა და ჯანმრთელობაა, ვუტოვებ ბალის ნიჩაბს, ჩემს სპორტულ ქუდს და ბოტასებს.

* * *

– ექიმო, ქალთან სექსის მერე თითქმის ათი წუთის განმავლობაში ყურში ძლიერი სტვენა მესმის, – შესჩივის პაციენტი სექსოპათოლოგს.



– რამდენი წლისა ბრძანდებით?

– სამოცდახუთის.

– ოჰო, აბა, რა გინდოდათ? აპლოდისმენტები?

* * *

იარეთ თქვენი მიზნისკენ და ნუ იწუწუნებთ დროის უკმარისობაზე. დღეღამეში ეს დრო თქვენთვისაც ზუსტად იმდენია, რამდენიც იყო სოკრატესთვის, ლომონოსოვისთვის, ბეთჰოვენისა თუ ეინშტეინისთვის.

* * *

მიხო მთელი კვირის განმავლობაში გრიალის შემდეგ სახლში დაბრუნდა და ცოლს ეუბნება:

– ორი ახალი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი. რომლით დავიწყო?

– ცუდით.

– მთელი ჩვენი ქონება კაზინოში წავაგე.

– კარგი რომელია?

– ეს კაზინო ჩემი გამოდგა.

* * *

იმისთვის, რომ კაცი გამოჭერილი ჰყავდეს, ქალმა იგი უნდა დაარწმუნოს, რომ მასზე უკეთესი არავინ ჰყოლია, მაგრამ შეიძლება ეყოლოს.

### კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.